საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 185—186 (465) სამშაბათი, 22 სექტემბერი, 1992 წ. ფასი 3 მანეთი

11 ოქტომბერი
საქართველოში
არჩევნები

არჩევნებამდე, რომელიც საქართველოს ბედს გადაწყვეტს, 20 დღე რჩება

გზად მომავლისკენ

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან ნიუ-იორკს გაემგზავრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

25 სექტემბერს გაეროს სესიაზე ისტორიაში პირველად სიტყვას წარმოთქვამს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მეთაური.

მსოფლიო ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას ელოდება დაუფარავი ინტერესით, ჩვენ, სრულიად საქართველო — იმედით.

დარწმუნებული ვართ, 25 სექტემბერი იქნება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩვენდა სასიკეთოდ შემობრუნების მომენტი.

გამარჯვებას და შინ მშვიდობით დაბრუნებას ვუსურვებთ ბატონ ედუარდს და საქართველოს დელეგაციის ყველა წევრს.



ნომერში

◎ ებრძოლე ღირსეულს და ძაღლად ჩაგაგდებენ. — 2

◎ სპილენძის გრაგნილი გაგორდა ჟინვალიდან თურქეთში... — 5

წუხელ შევიტყვეთ

საუბარი სოჭში

20 სექტემბერს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან მოგვმართეს თხოვნით დაგვედასტურებინა ცნობა — მართლა შეხვდნენ თუ არა ამ დღეებში სოჭში ერთმანეთს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი.

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან გვაცნობეს, ასეთი შეხვედრა სოჭში ამ დღეებში მართლაც გამართულა და ორი ქვეყნის მინისტრებს განუხილავთ მოსკოვში 3 სექტემბერს ხელმოწერილ შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები.

აფხაზეთის ამბები

აფხაზეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კრიმინოგენული ვითარების გაუარესებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის კიტოვანის ბრძანებით გაგრძელებულია განსაკუთრებული რეჟიმი. სოხუმში გაგრძელებულია კომენდანტის საათის მოქმედება.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში გავრცელდა ხმები იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში თავმოყრილი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსული ექსტრემისტები ამზადებენ მასობრივ თავდასხმას სოხუმზე. ეჭვს იწვევს ის ფაქტიც, რომ აფხაზი მოსახლეობა სასწრაფოდ ტოვებს ქალაქს. და სოფელ ეშერიდან, საომარი მოქმედების ზონიდან ქართული გვარდიის გაყვანის შემდეგ გახსნილი დერეფნით მრავალი მათგანი ოჯახებით გადადის გუდაუთაში. ხმები ხმებად რჩება, მაგრამ სიფრთხილეს კი თავი არ სტკივა, გადაწყვიტა სამთავრობო ჯარების სარდლობამ და ამ დღეებში აფხაზეთში ჩამოყალიბებული ბრიგადა ქალაქის დასაცავად გამოიყვანა.

და ახლა შედარებით სიმშვიდე სუფევს ისეთ ცხელ წერტილებში, როგორიც არის ბიჭვინთა, ტამიში. გუშინ გაგრაში მოხდა ტრაგიკული აფეთქება. მამზიშხის მთის ფერდობზე აფხაზმა ექსტრემისტებმა ყუმბარსატყორცნით ააფეთქეს ავტობუსი, რომელშიც ისხდნენ ქართველი გვარდიელები, ისინი მიდიოდნენ ამ ზონის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის დასაცავად ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულთა თვითნებობისაგან. არიან მოკლულები და დაჭრილები.

თ. ჯიბუტი

სოხუმი.

„მე"—ხშირი და „ჩვენ"—იშვიათი

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომის ჩანაწერები. 1992 წლის 18 სექტემბერი.

წესრიგი ჰაერივით არის — თუ გაქვს, ვერ გრძნობ, მოგაკლდება თუ არა, ხუთვა გემართება. ადრე, სტუდენტობის წლებში, ამოვიკითხე, მგონი გოეთესთან — ამ უბადალებულ სამართლიანობის გრძნობაზე უფრო მეტად ქვეყანაში წესრიგია საჭირო. ადრეულ ასაკში ახალგაზრდის მაქსიმალისტურ ბუნებას სამართლიანობის გრძნობა უფრო აქვს გამძაფრებული, ვიდრე ყველგან და ყველაფერში წესრიგის მოთხოვნილება. ალბათ, ამიტომ ვაიმარელი ბრძენის ნათქვამს მაშინ ეჭვით შევხედე. მხოლოდ ახლა, როცა საკუთარი ქვეყანა ყალყზე დავაყენეთ და ლამის არის ცა ჩამოვიმხოთ თავზე ჩვენივე ნებით, სულ უფრო ხშირად მაგონდება ის ნათქვამი და მთელი სიმძაფრით შევიგრძნობ ამის მწარე სიმართლეს.

აფხაზეთის მოსახლეობა მოითხოვს, ოღონდ მშვიდობა დამყარდეს, ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი აღდგეს, მზად ვართ ყველაფერი გავიღოთ ამისთვისო.

ქართული მხარე მოითხოვს... პროგრამა „საღამო მშვიდობისაში" აფხაზეთში მძევლად დარჩენილი ექვსი წლის ბავშვის გამწარებული დედის ნათქვამი ვინც მოისმინა — თუ ეს უშველის ჩვენში შფოთის და ომის დამთავრებას და ჩვენს გაერთიანებას, ზოგჯერ ვფიქრობ, ის შვილი ამისთვის შემიწირავს საკუთარი ნებითო — თავის თვალით ნახავს, რას მოითხოვს ქართული მხარე.

აფხაზეთში კი სიმშვიდე იგვიანებს. ამიტომ საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოხსენება ამ საკითხზე ოპტიმიზმით ვერ გამოირჩევა.

— ფართომასშტაბიანი შეტაკებები არ მომხდარა, წინა ხაზზე თითქოს ერთგვარი სტაბილიზაცია შეინიშნება, მაგრამ ეს დროებითს მოვლენას უფრო ჰგავს, ვიდრე ტენდენციას. შინაგანი დაძაბულობა, რომელიც რა წუთს იფეთქებს, არავინ იცის, აშკარად იგრძნობა. საკონტროლო კომისია მუშაობს, მაგრამ უნდა ითქვას, არცთუ ეფექტიანად. კომისიას და ქვეჯგუფებს შორის სათანადო კონტაქტი არ არის, რის გამოც ხელშესახები დადებითი შედეგი არ ჩანს. ცხინვალის გამოცდილებას აქ კარგად ვერ იყენებენ.

მითქმა-მოთქმას იწვევს ის ფაქტიც, რომ კომისიის ზოგიერთი წევრი, თანაც ისინი, ვინც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებენ ხოლმე, გუდაუთის აეროდრომზე ცხოვრობს.

არის ინფორმაცია, რომ ბიჭვინთაში შეინიშნება საკმაოდ საშიში — 1000—1500-კაციანი კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი რაზმის ფორმირება, რომელმაც შეიძლება დამატებითი სირთულეები შექმნას რეგიონში. თუ რუსეთმა „ბოევიკების" და დაქირავებული ძალების აფხაზეთიდან გაყვანაზე სერიოზულად არ იფიქრა, დამატებითი ღონისძიებანი დაგვჭირდება, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ.

აფხაზეთში ყოფნისას შევხვდი ქართულ დეპუტაციას, დავსახეთ საქმიანობის გზები, შევთანხმდით, თუ როგორ უნდა იმუშაოს ფრაქცია „დემოკრატიულმა აფხაზეთმა".

აღსანიშნავია, რომ ჩემთან მოვიდნენ აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები კეთილშობილი და მნიშვნელოვანი მისიით — იკისრონ ერთგვარი შუამავლის როლი ქართულ და აფხაზურ დეპუტაციას შორის და ყოველნაირად შეუწყონ ხელი უახლოეს ხანში სესიის მოწვევას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნის პირადმა წარმომადგენელმა ბატონი ფაიზელი, რომელიც საგანგებოდ ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაში დახმარების მისიით იყო ჩამოსული საქართველოში, დაგვპირდა, რომ ყველაფერს იღონებს მოსკოვის შეთანხმების სრულად რეალიზაციისთვის.

რაც შეეხება ჩვენს მებრძოლებს აფხაზეთში, ბიჭები იბრძვიან, უჭირთ, მაგრამ ძალ-ღონეს არ იშურებენ, თავიანთ საქმეს აკეთებენ. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოიკვეთა მეთაურთა საინტერესო ჯგუფი, რომლებთაც გარკვეული თეორიული სკოლის გავლის შემდეგ აქ თავი გამოიჩინეს საუკეთესო ადამიანური თვისებებით. ღირსეულად, შეხმატკბილებულად მოქმედებენ გენერალი ყარყარაშვილი და პოლკოვნიკი ყურაშვილი.

ახლა, როცა საქართველოში ისეთი სიტუაციაა, რომ დედები მზად არიან უკიდურესი მსხვერპლის გასაღებად (სიტყვები მეორედ ველარც კი გამომყავს ქაღალდზე), სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ხმამაღლა გამოსაცხადებელი ხდება ორი ადამიანის უბრალო ნორმალური ურთიერთობა — „რა ბედნიერებაა, ეს ორი კაცი ერთმანეთს თავპირს რომ არ ამტვრევს" — იოლად იკითხება ქვეტექსტი. სხვა რა ცოდვის კალო უნდა მოატრიალოს უფალმა ჩვენ თავს, ცოტა გონს რომ მოვეგოთ, ნეტავ?!

— ქვეყნის გადასარჩენად ყველამ ისე უნდა გამოიღოს ხელი, როგორც შეუძლია. ზოგიერთი კი ხეირის მაყურებლის როლში გამოდის.

ზოგი — უფრო უარეს როლში. ამღვრეულ წყალში დაჭერილი თევზი ალბათ, მეტისმეტად გემრიელია. საბჭოს სხდომაზე მკაცრად ითქვა საწვავით მომარაგების სისტემაში გამეფებულ დამახინჯებებზე, „საქენერგოში" არსებულ ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება კავშირგაბმულობის ქსელში გამეფებულ თავაშვებულობაზე.

— რით უნდა აიხსნას, თუნდაც, ის ალოგიკური ფაქტი, რომ ჩეჩნეთში გამომავალი გაზეთი „საქართველოს ცის ქვეშ" მეორე დღესვე მიდის მკითხველამდე, „საქართველოს რესპუბლიკა" კი ზოგჯერ მთელი კვირა იგვიანებს, — დასვა შეკითხვა ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, რომლის პასუხი მეტ-ნაკლებად ყველამ ვიცით.

გადაწყდა: კავშირგაბმულობის მინისტრი უახლოეს სხდომაზე წარდგეს ანგარიშით საბჭოს წინაშე.

საუბარი შეეხო დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს — არჩევნებს, მის ხელშემშლელ მიზეზებს; ითქვა, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში ხალხს ემუქრებიან; არჩევნებში ხმის მისაცემად არ წახვიდეთო.

— ეს საკითხი სათუოდ არ უნდა იქცეს! — თქვა ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ,—რას ჰქვია „ან ასე" „ან ისე", როცა საქმე ქვეყნის ბედ-იღბალს ეხება. რადაც უნდა დაგვიჯდეს, იგი უნდა გაიმართოს! მორჩა და გათავდა!

თავისთავად ყველაზე სამწუხარო ის არის, საკითხი რომ დადგა ასე — გაიმართება თუ არა არჩევნები. კარგად ვხედავთ, რომ ეს მორიგი კამპანია კი არ არის, არამედ ერის ცხოვრების მოვლენაა, რომლითაც უნდა დაიწყოს მისი ცხოვრების წალმა შემოტრიალება. ამის სრულფასოვნად შეგნების უნარი კი, როგორც ჩანს, არა გვაქვს, რადგან ჩვენი ბრძენი წინაპრის გოდებისა არ იყოს „განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო-ასოდ დავიშერით... ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი, იმ ქვეყანას, სადაც საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, სადაც ყველაში თითო არ არის და თითოში ყველა. სადაც „მე" ხშირია და „ჩვენ" — იშვიათი!"

უფალი ორჯერ შანსს არც კაცს აძლევს და არც ერს. შენი ბედის რაში რომ ჩამოიგელვებს, უნდა შეაფრინდე, თორემ, ჩაიქროლებს და... ჩვენი იღბალი ახლა კარს მომდგარა. არაერთხელ თქმულა — ჩვენ, ღმერთის და კაცის ნებით, დიდი მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში ვართ მოქცეულნი. იღბალი იმიტომ ვახსენე, რომ ჩვენი ინტერესები მათსას ემთხვევა, და თუ ამას არ გამოვიყენებთ, საკუთარი თავის მტერნი ვყოფილვართ და სხვა არაფერი.

გალინა ხარებაშვილი.

საქართველოს პრობლემებზე—გაეროს ტრიბუნიდან

მოვლენის წინ

სამშაბათს, 22 სექტემბერს, თბილისიდან ნიუ-იორკს მიფრინავს საქართველოს მთავრობის დელეგაცია რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. იგი მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მუშაობაში. გამგზავრების წინ საქინფორმის კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა დელეგაციის წევრს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჩიქვაიძეს.

— ბატონო ალექსანდრე, ვინ შედის კიდევ საქართველოს დელეგაციაში?

— სახელმწიფო საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ლევან ალექსიძე, ჩემი პირველი მოადგილე თედო ჯაფარიძე, სახელმწიფო საბჭოს მეთაურის თანაშემწე თეიმურაზ სტეპანოვი და სახელმწიფო საბჭოს განყოფილების გამგე გელა ჩარკვიანი.

— მოელოდნენ სესიაზე ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას. გამოვა თუ არა იგი?

— დიახ, გამოვა. ეს გამოსვლა დასახულია 25 სექტემბრისათვის. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ დასავლეთი დიდი ინტერესით მოელის ამ გამოსვლას, რომელიც, ჩვენი აზრით, შემობრუნების მომენტი გახდება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ბატონი ედუარდი ბევრჯერ გამოსულა გაეროს ტრიბუნიდან. მაგრამ, იგი პირველად ილაპარაკებს როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. მართალია, როცა საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა, იგი აყენებდა დიდი ქვეყნის პრობლემებს. ახლა კი წარმოადგენს პატარა სახელმწიფოს, რომელსაც ძალიან დიდი პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. ჩემი აზრით, სწორედ ეს არის მისი გამოსვლის მთავარი თავისებურება.

— თქვენ, ალბათ, იცით, რა საკითხებს შეეხება მოხსენებაში ბატონი ედუარდ შევარდნაძე?

— გამოსვლის მთავარი თემაა — „როგორ აღიქვამს მსოფლიო საქართველოს, და საქართველო — მსოფლიოს". თანაც, ლაპარაკია არა მარტო ჩვენს ქვეყანაზე, არამედ მთელი კავკასიის რეგიონზე. ბატონი ედუარდი, როგორც ყოველთვის, გულმოდგინედ, საფუძვლიანად ემზადება თავისი გამოსვლისათვის. იგი წამოაყენებს მთელ რიგ საჭირო, საინტერესო წინადადებებს, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივ კონფლიქტებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფრო აქტიურ მონაწილეობას იმ უმწვავესი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რადგან იქ შექმნილი დესტაბილიზაცია შეიძლება შეეხოს ევროპის ქვეყნებსაც, მთელ მსოფლიო გაერთიანებას. ამაში დავრწმუნდი ამას წინათ თურქეთში ყოფნის დროს, სადაც მიმდინარეობდა ევროპის მინისტრთა საბჭოს კაბინეტის საგანგებო სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე.

— გთხოვთ, ამაზე უფრო დაწვრილებით გვესაუბროთ.

— ევროპის 27 სახელმწიფოს გარდა კონფერენციაში მონაწილეობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ათი რესპუბლიკა და საქართველო. შეხვედრის მიზანი იყო გავცნობოდით ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შექმნილ ვითარებას, გაგვერკვია კავკასიაში, კერძოდ, აფხაზეთში კონფლიქტის მიზეზები, განგვესაზღვრა შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის მიზეზები. შეხვედრამ ცხადყო, რომ დასავლეთის ქვეყნები ძალიან არიან შეწუხებული ამ რესპუბლიკებში შექმნილი ვითარების გამო, იმის გამო, თუ როგორ განვითარდება მომავალში მოვლენები იქ, რა ბედი ეწევა ეკონომიკას, როგორ გადაწყდება პოლიტიკური საკითხები...

ფაქტიურად გამოვიდა ყველა მინისტრი, და თითოეულ მათგანს, როგორც მინიმუმი, დაუსვეს ხუთიდან ათამდე შეკითხვა. ჩემთვის არც ერთი შეკითხვა არ მოუციათ. ვფიქრობ, ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებასთან, რომ ჩემს მოხსენებაში მთავარი ყურადღება დავუთმე ორ უმნიშვნელოვანეს მომენტს — ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობას. ჩვენ ვცადეთ უაღრესად მკაფიოდ გამოგვეთქვა აზრი და გაგვეგებინებინა კონფერენციის მონაწილეებისათვის, რომ საქართველოს არ შეიძლება ჩამოაშორონ მისი რომელიმე ტერიტორია, რომ ეს აბსოლუტურად გამორიცხულია, და ჩვენ გაგვიგეს მინისტრებმა, რომლებმაც ერთხმად აღნიშნეს, რომ ჩვენ ვმოქმედებთ სწორი მიმართულებით. ალბათ, ამავე პრობლემებს, მაგრამ უფრო ფართოდ და გლობალურად, შეეხება საქართველოს დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამოსვლისას.

ნუთუ ვინმეს კიდევ არ სჯერა?!

მტერმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა

საქართველოს ტელევიზიის მომზადებულმა გადაცემამ (18-20 სექტემბერი, 1992 წ.) „საღამო მშვიდობისა" კიდევაც დაარწმუნა ქართველი ხალხი იმ დიდ შეცდომაში, რომელიც მოუვიდა ზ. გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის დროს. როგორც თვალნათლივ დავინახეთ, ზ. გამსახურდია და მისი ქამის დონეზე მოაზროვნე თანამებრძოლები ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები აღმოჩნდნენ.

საკუთარი ხალხის წინააღმდეგ შეთქმულებას რომ ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობს, ეს დღეს არავის ეჭვს აღარ იწვევს. ის და მისი თანამზრახველნი განსაკუთრებით გააქტიურდნენ პარლამენტის მოახლოებული არჩევნების წინ. მათ გონებას უბნელებს საქართველოს, მისი დამოუკიდებლობის, მისი საზღვრების ხელშეუხებლობის (ცნობა მთელი მსოფლიოსგან. ახრჩობთ აგრეთვე შური ბ-ნ ე. შევარდნაძის მიმართ, რომელსაც სურს საქართველო გამოიყვანოს გამოუვალი მდგომარეობიდან. ამიტომაც ბუდედანგრეული კრაზანებივით იბინიებიან და ყოველნაირად ცდილობენ ჩაშალონ არჩევნები.

მტერმა თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა. ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს, ჩვენი შვილების და შვილიშვილების მომავალი, უნდა დავირაზმოთ იმისთვის, რომ 11 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა გამოხატოს თავისი ნამდვილი ნება — აირჩიოს ქართული პარლამენტი.

გარეწრებს არ უნდა ჩავაშლევინოთ ეს სასიკეთო საქმე. ხალხის რისხვამ უნდა წალეკოს ისინი.

ამიტომაც მოგიწოდებთ: — ყველანი არჩევნებზე!

ლევან გუგავა.

ექსპრეს-ინტერვიუ

ერთი კითხვა თბილისელ მოქალაქეებს:

— რა აზრისა ხართ გუშინწინდელ სატელევიზიო გადაცემაზე — „საღამო მშვიდობისა?"

მერი თალაკვაძე — პედაგოგი:

— მიკვირს და გამკვირვებია გიორგი მარჯანიშვილის ასეთი უმსგავსო განცხადება. განა მან არ იცის ჩვენი ისტორია? არ წაუკითხავს სულხან-საბას „ძალა ერთობისა"?

საქართველოს პატრიოტი მამულიშვილები ყოველთვის ერის ერთიანობისათვის სწირავდნენ თავს, ვაი-მამულიშვილები კი საქართველოს დანაწევრებისაკენ ილტვოდნენ, რადგან ამით მხოლოდ ხელს ითბობდნენ და წყალს მტრის წისქვილზე უშვებდნენ. კუთხურობა აკნინებდა საქართველოს და ვაგლახ რომ, დღესაც კვლავ ეს გაისმა...

ოთარ ანდრონიკაშვილი — ტექნოლოგი:

— თუ სულით ქართველი ხარ და ქართველი ქალის კალთაში ხარ გაზრდილი, ასეთი რამ როგორ უნდა იკადრო და განაცხადო. მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი, გროზნოდან მბრძანებლობა, და ხალხის ერთმანეთზე წაქეზება, ვერაფერი პოლიტიკაა. ეს შურია და გაუტანლობა. მათი განაცხადი ერთხაც მეტყველებს — პოლიტიკურ სიბეცეს. რას მოქმედებენ, თვითონაც აღარ გაეგებათ, ეს „გათიშე და იბატონე" ღუპავდა ყოველთვის საქართველოს და ამ გზით სიარული ბედნიერებას არ მოგვიტანს. ამიტომ წერტილი უნდა დაესვას მათ თავგასულობას.

ზაურ ქოქრაშვილი — გეოლოგი:

— აღმაშფოთებელია „ზვიადისტების" გამოსვლა, რომელიც ტელევიზიით ვნახეთ. ბავშვობიდანვე ვიცნობ ზვიად გამსახურდიას, მის ავადმყოფურ ახირებასა და ყინიანობას. საერთოდ, დროა, წერტილი დაესვას „ზვიადისტობას" საქართველოში. ეს მხოლოდ ხალხის ზედმეტი ნერვიულობაა, მათ მაგივრად მრცხვენია, განა შეიძლება ასეთი მოწოდების შემდეგ ვინმემ იფიქროს მათი სამშობლოში დაბრუნება? საქართველოს ყოველთვის ჰყავდა გამყიდველი შადიმანები. მეტს კი არაფერს აკეთებდნენ ისინი შაჰის კარზე. პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მტრის ბანაკიდან აკნინებდნენ და ასუსტებდნენ საქართველოს, დაღუპვამდე მიჰყავდათ თავიანთი სამშობლო. ჩვენს ქვეყანას დღეს ერთიანობა სჭირდება და არა დაქუცმაცება, როგორც ისინი ბრძანებენ...

ცისანა ახობაძე — პენსიონერი:

— ეს არის მათი ყველაზე სამარცხვინო საქციელი. ჩემთვის გაუგებარია, როგორ ითმენს და როგორ ისმენს, ან როგორ ზის იქ ზვიად გამსახურდია. ყოველი მათი გამოსვლა აღმაშფოთებელია. გული მწყდება, რომ ასეთ გვარს ატარებს გიორგი მარჯანიშვილი. როგორ შეიძლება, ამას უსმენდნენ და ასე მსჯელობდნენ ყოფილი პრეზიდენტი და მისი მომხრე —„რაზმელები". იყო დრო, ზვიად გამსახურდია ასე მოუწოდებდა ხალხს — ვარდები ვესროლოთ ერთმანეთს. დღეს პირტიტველა ბიჭები, აფხაზეთში მკერდს უშვერენ გადამთიელის ნასროლ ტყვიას, უთანასწორო ბრძოლაში იხოცებიან, საქართველოს ერთიანობისათვის იბრძვიან და ამ დროს გროზნოდან „ზვიადისტები" საქართველოს დანაწევრებისაკენ მოუწოდებენ ქართველ ხალხს. ეს მოუთმენელია და მკრეხელობაა. მე როგორც დედა, ვგმობ მათ ასეთ საქციელს.

ჩაიწერა

ცისანა სიხარულიძემ.

გულთბილი შეხვედრები

დასრულდა თელავის მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა". ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე გულთბილად შეხვდა ფესტივალის დამაარსებელს, ჩვენს სასიქადულო თანამემამულეს, თანამედროვეობის გამოჩენილ მუსიკოსს ქალბატონ ელისო ვირსალაძეს.

შეხვედრაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, საერთო მონდომების და ფესტივალის ორგანიზატორების (კულტურის სამინისტრო, საქართველოს ტელერადიოდეპარტამენტი, დემოკრატიისა და აღორძინების ფონდი, სრულიად საქართველოს ასოციაცია „კახეთი", თელავის გამგეობა, საქართველოს ფილარმონია) მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მუსიკალურმა ზეიმმა წარმატებით ჩაიარა. თითოეულ კონცერტს მაყურებლებით, მეტწილად ახალგაზრდობით სავსე დარბაზი დიდი მოლოდინით ხვდებოდა. მსმენელთა იმედები გამართლდა.

საუბრის დროს ყურადღება მიექცა მთელ რიგ საკითხებს, რომელთა გათვალისწინება მომავალ წელს ფესტივალს უფრო შინაარსიანს და მასშტაბურს გახდის.

დასასრულ ქალბატონმა ელისო ვირსალაძემ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გულწრფელი მადლობა მოახსენა ხელოვანთა მხარდაჭერისათვის და დაადასტურა თავისი მზადყოფნა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საქართველოს სასიკეთო მომავლისაკენ აღებულ კურსს.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ვალერი ასათიანი.

---

20 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, საქვეყნოდ აღიარებულ მომღერალს, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარეს პაატა ბურჭულაძეს.

პაატა ბურჭულაძემ ილაპარაკა თავის შემოქმედებითს გეგმებზე, აღნიშნა, რომ კმაყოფილია უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ქართველ მაყურებელთან შეხვედრით. იგი წარსდგა ქუთაისის (იმღერა „სევილიელ დალაქში" ქუთაისის საოპერო თეატრის დასთან ერთად; მთელი შემოსავალი გადაეცემა ქუთაისის თეატრის აღორძინების ფონდს), ბათუმის, ოზურგეთის, თელავის (მუსიკალური ფესტივალი „ქება ვაზისა") მოსახლეობის წინაშე. ბათუმსა და ოზურგეთში გამართული კონცერტების შემოსავალი საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების ფონდში ჩაირიცხა.

24 სექტემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში განზრახული კონცერტის შემოსავალი ქართული პოლიციის ფონდს გადაეცემა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა კულტურული ცხოვრების სხვადასხვა პრობლემას. პაატა ბურჭულაძემ დასვა მთელი რიგი კონკრეტული საგულისხმო საკითხები, რომლებიც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ყურადღებით მოისმინა და გაიზიარა.

პაატა ბურჭულაძემ პირადად თავისი და მრავალი ხელოვნის სახელით დაადასტურა, რომ მზად არის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ბატონ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით საქართველოს საკეთილდღეოდ აღებულ კურსს და აღნიშნა მოახლოებული არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი საქართველოს მშენებლობის საქმეში.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი კულტურის დარგში ვალერი ასათიანი.

მადლობა ნდობით აღჭურვილ პირებს

19 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შენობაში რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტის კანდიდატი ე. შევარდნაძე შეხვდა თავის ნდობით აღჭურვილ პირებს. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მხარდაჭერის, მათ მიერ გაწეული მუშაობისათვის, აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის, მისი სპიკერის მომავალ არჩევნებს; ილაპარაკა იმ მიზნებზე, რომელთა მიღწევა იქნება საჭირო ნიუ-იორკში ყოფნისას, სადაც 25 სექტემბერს იწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომა.

საიმედო დასაყრდენი

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაცია

20 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ბრიტანეთის პარლამენტის დელეგაცია პარლამენტის წევრის ბატონ ჰაროლდ ელექტონის მეთაურობით.

ბრიტანეთის პარლამენტარებს აინტერესებდათ სიტუაცია საქართველოში და მთლიანად კავკასიაში, რაზეც ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს. შემდეგ საუბარი შეეხო მომავალ არჩევნებს, რაც, სტუმართა აზრით, ამჟამად მსოფლიოში დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მიაჩნიათ, რომ საქართველო მტკიცედ დაადგება დემოკრატიზაციის გზას და ეს მაგალითი იქნება ამ რეგიონისათვის, რომლის შიგნით ვითარება ახლა აღელვებს ევროპას.

შეხვედრის შემდეგ კორესპონდენტთან საუბარში ბატონმა ჰაროლდ ელექტონმა განაცხადა: ჩვენი ქვეყანა ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს და თვლის, რომ ედუარდ შევარდნაძის გამოცდილება, პოლიტიკური კომპრომისის უნარი, სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა მსოფლიოს საიმედო დასაყრდენია ამ რეგიონში. ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დახმარება იყოს რაც შეიძლება მოკლე ხანში და რაც შეიძლება ეფექტიანი.

იწყება ნამდვილად დიდი ურთიერთობა

21 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო „კორეა ექსპლორინგ გრუპის" (კეგ) თავმჯდომარე ბატონი სიუნგ იუნ კიმი.

გაიმართა საუბარი ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. კორეელმა ბიზნესმენმა გამოთქვა სურვილი, რაც შეიძლება ფართო ურთიერთობა დამყარდეს ორ ქვეყანას შორის მრეწველობის, მეცნიერების, კულტურის სფეროში.

— ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზეზი გახდა ერთი აღმოსავლური ანდაზა, — უთხრა ჟურნალისტებს ბატონმა კიმმა საუბრის დამთავრების შემდეგ. — „ძლიერ მხედართმთავარს ლაშქარიც ძლიერი ჰყოლია". ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბატონი შევარდნაძის მეთაურობით თქვენი ქვეყანა მალე იქნება ძლიერი. ამთავითვე გვინდა თქვენს ქვეყანასთან დავამყაროთ კავშირები. ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის, ტელეკომუნიკაციების, საბანკო სისტემის, საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის სფეროში, მოვაწყობთ კონსულტაციებს ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისათვის. ამ საკითხებზეც გაიმართა კონკრეტული საუბარი ბატონ შევარდნაძესთან.

— ჩემთვის, — თქვა დასასრულ ბატონმა კიმმა, — ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბატონმა შევარდნაძემ, რომლის პოლიტიკური რეიტინგი მსოფლიოში ძალიან მაღალია, ჩვენი ქვეყნის გაერთიანების საკითხზეც ისაუბრა და ამ ოცნების მალე ასრულება გვისურვა, აი, ასეთი გაგებით იწყება ჩვენი ნამდვილად დიდი ურთიერთობა და ვეცდებით, ყველაფერი გავაკეთოთ მისი გაფართოებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

კაცი იმედით ცოცხლობს

ინტერვიუ

განსაკუთრებით არასოდეს მჭეროდა ბევრი თანამდებობის პირისა, რადგან მათ შორის, გაჭირვებულის შემჭვრე და გამგონი იშვიათად თუ იყო ვინმე. დალხინებულთა ესმოდათ მუდამ, გაჭირვებულთა — არა. არც იყო გასაკვირი: არცთუ შორეულ წარსულში თანამდებობებზე ხომ თითქმის რობინზონ კრუზოს მეთოდით ინიშნებოდნენ? (რობინზონი თუ პარასკევას გაათავისუფლებდა, მის ადგილზე თუთიყუში უნდა დაენიშნა, თუთიყუში კი თხას უნდა შეეცვალა), მაგრამ რობინზონი უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრობდა და სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. უამრავი ინტელექტუალური ძალით დასახლებულ საქართველოში კი, რატომღაც, მისი მეთოდის ანალოგიური პრაქტიკა იყო დამკვიდრებული. ტრიალებდა თანამდებობის კარუსელი და ბედის ნებიერნიც ცვლიდნენ ერთმანეთს, იშვიათად თუ მოხდებოდა გამონაკლისი...

ჰოდა, ადამიანებს, რომლებსაც არასოდეს უფურუტიათ დიდ კაცთა მოსაცდელებში, არ დაგლეჯიათ ღილები ტრანსპორტში, ქანცგაწყვეტამდე არ მისულან სამართლის ძებნაში, და, საერთოდ, არასოდეს დაწყვეტიათ გული რაიმეზე, როგორ გინდოდა გაეგოთ სხვისთვის? მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, ხომ გაგიგონიათ? თუმცა, წინაპარს ისიც უთქვამს: კაცი იმედით ცოცხლობსო, და ღმერთმა ეს იმედი ნუ მოგვიშალოს. იქნებ, დადგეს დრო, და სული მოვითქვათ, დიდ კაცთანაც გაგვივიდეს მართალი. პერსპექტივა უკვე ჩანს ჰორიზონტზე.

თუ რისთვის დამჭირდა ასეთი შესავალი, ამას მკითხველი წინამდებარე სტატიის წაკითხვის შემდეგ თავად მიხვდება. ახლა კი კონკრეტული საკითხი: ამ სამი თვის წინათ, შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ვაჟა გუჯაბიძე**. ახლახან ინტერვიუ ვთხოვეთ მას.

— ბატონო ვაჟა, როგორ შეხვდით თქვენს დანიშვნას მინისტრის თანამდებობაზე?

— გამიხარდა, რომ ვიღაცას გავახსენდი, ვიღაც მენდო, ჩვენი ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უკვე ნათლად გამოკვეთილი სოციალური დიფერენციაცია რომ გავიაზრე, მივხვდი, მძიმე ტვირთს ვკიდებოდი. მერე, ჩემი ბავშვობა, ომისშემდგომი წლები, ნავთის რიგებში დგომა... გამახსენდა. ის კეთილი ადამიანებიც მომაგონდნენ, ერთ ქოთან ლობიოს, თვითონ გაჭირვებულები, მეზობლებს რომ გვიყოფდნენ, და საქმეს შევუდექი...

* * *

ვაჟა გუჯაბიძე თბილისში, პედაგოგთა ოჯახში აღიზარდა, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპირანტურა. არის ეკონომისტ-გეოგრაფი. ვიწრო სპეციალობა — დემოგრაფია. კითხულობდა ლექციების კურსს ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტში. მუშაობდა გაეროს უფროს ექსპერტად ერაყსა და შვეიცარიაში. არის მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. მინისტრობამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრას ხელმძღვანელობდა. აგრეთვე, იყო დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლაც კითხულობს ლექციების კურსს. ჰყავს მეუღლე, ორი ვაჟი, შვილიშვილი.

* * *

— გამოდის, თქვენი თანხმობა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვენი ხალხის დახმარების სურვილმა განაპირობა, არა?

— არა მარტო ამან, რადგან მიმაჩნია, ნებისმიერმა პროფესიონალმა, რომლის ცოდნა და საქმე დღეს უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან, უნდა მოახმაროს იგი თავის ქვეყანას, ხალხს. შორიდან მსჯელობა და კრიტიკა ადვილია. ცოდვა გამხელილი სჯობს და მეც არაერთხელ განმიკითხავს შორიდან. ჰოდა, როგორც იტყვიან, მომცეს დღეს ბურთიც და მოედანიც, ვნახოთ, როგორ გავართმევ თავს.

— სამინისტრო ერთი წლისაა, რაც შრომის კომიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბდა. მხოლოდ მისი დასახელება შეიცვალა თუ...

— შეიცვალა სტრუქტურებიც. მოსახლეობის შრომითი დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების გარდა, ცხოვრების დონის ცვლილებების შესწავლაც გვევალება. დემოგრაფიული ვითარების გაჯანსაღებაც ჩვენი საზრუნავია, მიგრაციული პროცესების რეგულირებაც და, რაც მთავარია, მოსახლეობის სოციალური დაცვა. ზოგადად კი, სოციალური პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია.

სამი თვე თითქოს ცოტაა, მაგრამ უკვე საკმაო გამოცდილება მივიღე, ნურავინ მიწყენს, და ალბათ, სხვაზე მეტად მაინც ჩვენი სამინისტროს თანამშრომლები ვხედავთ და ვგრძნობთ ადამიანების გასაჭირს, ცხოვრების სიდუხჭირეს. რამდენნაირი გაჭირვებული ვნახე ამ მოკლე დროში, რამდენი გატანჯული სახე და უიმედო თვალები... ჩემზე ბედნიერი კაცი არა მგონია, როცა ვინმეს ვეხმარები, როცა ვუკეთებ იმას, რაც ეკუთვნის და რასაც ითხოვს, მაგრამ უმწეობა მეუფლება, როცა ვიღაცისთვის ბოლო იმედი ვარ და ვიცი, ვერ დავეხმარები, უაღრესად შეზღუდული ჩვენი ფინანსური შესაძლებლობების გამო. სამწუხაროდ, ეკონომიკური კრიზისი ხელ-ფეხს გვიკრავს...

იცით, რამდენს ითმენს ხალხი?

რედაქციაში შემოსული წერილები მაგონდება...: „ერთი თვის პენსია ერთ კვირას რომ არ გვეყოფა, საქმეა? როგორ ვიცხოვროთ? სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ. ცალფეხა. ყაჩაღობა მე არ შემიძლია, რომც შემეძლოს, ვის წავართვა, მეზობელს? სპეკულანტი ჩემგან არ გამოვა, არადა, მიჭირს, უკიდურესად მიჭირს თავის გატანა. იქნებ, მინიმალური პენსია მინიმალურ ხელფასს მაინც გაუტოლდეს?“

„...სასიცოცხლო მნიშვნელობის ზოგიერთ პროდუქტზე ნამეტანი მაღალია ფასები, თუნდაც შაქარზე, რძის ნაწარმზე, იქნებ მოსახლეობის ღარიბი ფენების სოციალური დაცვის მიზნით, ზოგიერთ პროდუქტზე მაინც დააწესონ რეგულირებადი ფასები“...

— ბატონო ვაჟა, სოციალურად დაუცველი და სილატაკის ზღვარზე ბევრი მრავალშვილიანი და ახალგაზრდა ოჯახი, მარტოხელა პენსიონერი. ერთ ჩემს ნაცნობ მრავალშვილიან ოჯახში ტალონური სისტემაც კი აქვთ შემოღებული. ოჯახის თითოეულმა წევრმა იცის, საჭმლის რა წილი ერგება, იმაზე მეტს ვერ მოითხოვს... სხვა გამოსავალი ვერ ვნახეთ, მითხრა ოჯახის დიასახლისმა.

— ამას წინათ, ჩემთან ორბავშვიანი ახალგაზრდა ქალი მოვიდა. უჭმელობისგან იმდენად იყო დასუსტებული, ფეხზე ძლივს იდგა. ბავშვები სავარძელში ჩასვა და მითხრა: ამათი რჩენის თავი აღარ მაქვს, მეშინია, ხელში არ ჩამაკვდნენ, იქნებ მიმიხედოთო. პატარებს სისუსტე აშკარად ეტყობოდათ, თავებს ძლივს იმაგრებდნენ, გვერდზე უვარდებოდათ. ცრემლი მომერია. იმ დღეს უნივერსიტეტში აღებული ხელფასი მქონდა, ერთიანად მივეცი.

მაგრამ ეს გადაუჭრიდა პრობლემას?

ამან და სხვა მრავალმა ფაქტმა გადამაწყვეტინა სამინისტროში შეგვექმნა „კერძო ფონდი“. დავვედგა ყუთი და შეძლებისდაგვარად თანამშრომლებს დროდადრო შიგ ფული ჩაგვეგდო, მერე რომ სულის მოსათქმელად მიგვეცა ამგვარ გაჭირვებულთათვის. დღეს ყუთი ბუღალტერიაში დგას. ყველაზე გაჭირვებულთ ვაძლევთ ხოლმე მცირეოდენ თანხას. ერთმა ხანდაზმულმა მანდილოსანმა მითხრა:

— ვიცი, შვილო, თქვენც ბევრი არაფერი შეგიძლიათ, მაგრამ აქამდე ასე თბილად და ადამიანურად არავინ მომპყრობიაო. თურმე, რა ცოტა ჰყოფნით ადამიანებს...

ჩვენდა სამწუხაროდ, სამინისტროს ზრუნვა მრავალშვილიანი, მარტოხელა და ახალგაზრდა ოჯახებისათვის, მხოლოდ მცირე მატერიალური და ფინანსური დახმარებით ამოიწურება...

— დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების გამო, ბევრი ახალგაზრდა შიშობს ოჯახის შექმნას, ბევრი ერიდება მეორე შვილის გაჩენასაც...

— დღეს ბავშვთა საზრდო უდიდესი პრობლემაა. ბევრ ოჯახს არა აქვს საშუალება, ორგანიზმისათვის აუცილებელი კალორიულობის პროდუქტი შეიძინოს, უმრავლესობის შემოსავალი ხომ ხარჯებზე ბევრად ნაკლებია, არასრულფასოვანი კვება კი პატარასაც აავადებს და დიდსაც...

მინისტრი საუბრობს, მე აღარ მესმის, და, ერთი ჩემი მეგობარი ექვსი შვილის დედის სიტყვები მახსენდება.

— როგორ ხარ? — ვკითხე ამას წინათ.

— მივათრევ სულსო, — მითხრა, — თან დასძინა:

— ადრე, მშიაო, რომ მეტყოდნენ შვილები, მიხაროდა. დღეს გულზე ტყვიასავით მხვდება — ვიცი, მართლა შიათო...

როცა გამოვერკვიე, ბატონი ვაჟა, უმუშევრობის პრობლემაზე ლაპარაკობდა.

— სამწუხაროდ, უმუშევრობა დღეს ის პრობლემაა, რომელსაც, რაც უნდა ვეცადოთ, ახლო მომავალში, ვერ მოვაგვარებთ. ხვალ უფრო მეტი უმუშევარი გვეყოლება. თუმცა, ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ეს პროცესი ყოველთვის თან ახლავს, და, ვერც ჩვენ ავცდებოდით. გავბედავ და ვიტყვი: ამ მხრივ სოციალიზმს ჰქონდა რაღაც დადებითი. თუნდაც ის, რომ იყო შრომისა და მინიმალური ხელფასის რეალური გარანტია. ავი იყო, თუ კარგი, ადამიანს ჰქონდა რაღაც სამსახური, რაღაც ხელფასი და რაღაცნაირად გაჰქონდა თავი. ვერც სამუშაოს დააკარგვინებდი აგრერიგად. მართალია, ნებისმიერ ახალ საზოგადოებრივ ფორმაციაზე გადასვლა ძველის ნგრევას და ახლის შენებას მოითხოვს, მაგრამ ჩვენთან ნგრევა უფრო სწრაფად მოხდა, ახლის შექმნას კი პროფესიონალიზმი და შესაბამისი მატერიალური სახსრები სჭირდება.

შრომის ბირჟაზე დღეისათვის 100 ათასზე მეტი უმუშევარია აღრიცხული. ისინი ორ კატეგორიად იყოფიან. ადამიანები, რომლებიც საწარმო-დაწესებულებების მიზეზით აღმოჩნდნენ უმუშევრები და აქვთ უმუშევრის სტატუსი (ასეთი თითქმის 11 ათასამდეა). მათ ერთი წლის განმავლობაში ეძლევათ დახმარება მინიმალური ხელფასის ოდენობით.

მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან ადამიანები, რომლებმაც საკუთარი სურვილით დატოვეს სამუშაო, მათ სამუშაოს მაძიებელნი ჰქვიათ, და ჩვენგან მხოლოდ პურის კომპენსაციას იღებენ.

— გაქვთ მდგომარეობის გამოსწორების იმედი?

— რა თქმა უნდა, მაგრამ როგორც ზემოთ გითხარით, ახლო მომავალში არა. ამას დრო სჭირდება.

არსებობს ვაკანსიები, მაგრამ უმუშევართა პროფესიებს არ შეესაბამება. საჭიროა მათი გადამზადება იმ პერსპექტიული სპეციალობების მიხედვით, რომლებზეც დღეს მეტი მოთხოვნაა ან მომავალში იქნება, რა თქმა უნდა, ვმუშაობთ ამ პრობლემის გადასაწყვეტად, რაშიც დახმარებას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები გვთავაზობენ.

— მიგრაციაზე რას იტყვით?

— ესეც დიდი პრობლემაა. პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების გარდა, საქართველო სტიქიურმა მოვლენებმაც გვარიან გასაჭირში ჩააგდო. დაიწყო სტიქიაშიში რაიონებიდან ხალხის ბარში ჩამოსახლება. ჩამოსახლების სურვილი გამოთქვა თითქმის ყველამ, მიუხედავად იმისა, თუ რა მდგომარეობაში იყო მისი საცხოვრებელი სახლი, ამასთან, წინა წლებში მოსახლეობის ჩამოსახლება მოხდა ყოველგვარი მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფციის გარეშე. ეს მე შეცდომად მიმაჩნია. არ იყო სწორი არც ის, რომ, მოსახლეობა გაფანტულად ჩაასახლეს, რამაც სახსრების გაფანტვა გამოიწვია, უმჯობესი იყო, სამხრეთის რაიონებში მათი კომპაქტურად განსახლება. ობიექტური თუ სუბიექტური შეცდომების გამო, დღეისათვის არც ერთი სოფელი არაა ბოლომდე აშენებული. სახლების 80 პროცენტი დასამთავრებელია, შესაქმნელია ინფრასტრუქტურაც. და, რაც მთავარია, მოუგვარებელია შრომითი დასაქმების პრობლემა.

— ბატონო ვაჟა, რამდენადაც ვიცი, ჩამოსახლებულთა ხვედრითი წილი, რეალურად, მეტად მცირეა, უპატრონოდ დარჩენილი სახლები კი ინგრევა, იძარცვება...

— სამუშაო ბევრი გვაქვს. სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი კომისია ცნობილი სვანი მოღვაწეებისაგან, ისინი ჩვენთან და სვანეთის რაიონების გამგებლებთან ერთად, ცდილობენ, სრულად დაადგინონ ჩამოსახლებულთა მომავალი საცხოვრებელი ადგილი. ვინ დარჩება სვანეთში და ვინ ჩამოსახლდება ბარში. ეს აუცილებელია, რადგან ფერხდება მიწის პრივატიზაცია, როგორც ჩასახლების, ისე მესტიისა და ლენტეხის რაიონებში. უმეტესობა ცდილობს, მიწის ნაკვეთი ორივეგან მიიღოს.

— ბატონო ვაჟა, გამართლებულია, რომ ფასების ზრდა ხელფასების მომატებას უსწრებს?

— რა თქმა უნდა, არა. აუცილებელია და ყოველ ღონეს ვხმარობთ მივაღწიოთ იმას, რომ მოსახლეობა სოციალურად დაცული იყოს. საამისოდ ახალ სისტემას ვამუშავებთ, იგი ცვალებადი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის შესაბამისი იქნება და, ვფიქრობ, თავიდან აგვაცილებს სოციალურ აფეთქებას...

მინდა ჩვენს ხალხს უკეთესი მომავლის სჯეროდეს, სახელმწიფო ზრუნავს ამისთვის...

სხვისა არ ვიცი, და მე მჯერა, ბატონი ვაჟასი. მჯერა, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანს არასოდეს ავიწყდება თავისი ბავშვობა. ბავშვობაში კი დღევანდელ მინისტრს გაჭირვების მეტი არა უნახავს რა...

რუსუდან ლორთქიფანიძე

ქალბატონო ელისაბედ, რა დავაშავეთ?

ჯანსულ ჩარკვიანი

8-14 სექტემბრის ერთ, ყოვლად თავისუფალ და ალვირახსნილ გაზეთში წავიკითხე თქვენი რეპლიკა, თქვენი, სამი ვაჟის დედისა...

რამ შეგაწუხათ? ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა და მისმა სარედაქციო კოლექტივმა გადაწყვიტა, დროებით კალამი ქარქაშში ჩაეგოთ და იარაღი აეღოთ ხელში სამშობლოს გადასარჩენად. დიახ, თქვენი შვილების, ყველას შვილების დასაცავად. რას ხედავთ ამაში ცუდსა და საგანგაშოს?

ასევე „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა წერილი მწერალ თამაზ წივწივაძისა, სადაც ნათქვამია, რომ ყალიბდება მწერალთა ოცეული, რომელიც მზად არის თავი დადოს საქართველოს თავისუფლებისათვის. დიახ, მწერლებიც მზად არიან დაიცვან თქვენი შვილები, ჩვენი შვილები. რას ხედავთ ამაში ცუდსა და საგანგაშოს?

თქვენ ბრძანეთ, რომ „ამ პატრიოტულ თაოსნობას მხარი დაუჭირეს ბატონმა ჭ. ამირეჯიბმა, ჯ. ჩარკვიანმა, რ. ამაშუკელმა, კ. იმედაშვილმა, ზ. კალანდიამ და ქ-ნმა მ. ლორთქიფანიძემ. თქვენ რომელ წერილსაც მოიშველიებთ (4 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილს ვგულისხმობ), იმ წერილში მხარის დაჭერაზე არ არის ლაპარაკი, იქ ასე წერია: გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ამავე ნომერში, მწერალთა კავშირის, საზოგადოებისათვის ცნობილი მწერლების, ჟურნალისტების, მეცნიერების, ბატონების: ჭაბუა ამირეჯიბის, ჯანსულ ჩარკვიანის, რეზო ამაშუკელის, კობა იმედაშვილის, ზაურ კალანდიას, ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის (და არა მ. ლორთქიფანიძის, ქალბატონო ელისაბედ) პატრიოტული, მამულიშვილური გულისთქმაა გამოხატული, საჯაროდ გაცხადებული“. ეს ავტორისეული ვარიანტი, რა თქმა უნდა, განსხვავდება თქვენი ვარიანტისაგან, მაგრამ დავუშვათ თქვენ ბრძანდებით სწორი, რა არის ცუდი იმაში, რომ მამათა ომში წასვლას მიესალმოს სამოცდაათი წლის საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე, ასევე საქვეყნოდ ცნობილი მწერალი და მოღვაწე ჭაბუა ამირეჯიბი? ჩვენ, თქვენი შვილებისა და სხვათა შვილების გაწვევას ხომ არ მივესალმებივართ? კინაღამ დამავიწყდა, ქალბატონო ელისაბედ, ჭაბუა ამირეჯიბის ოთხივე შვილი იქ არის, ომში. ღმერთო, ჯანმრთელნი ჩამოუყვანე, ასევე ვლოცავ თქვენს სამ ვაჟსაც, მე მათი ასაკი არ ვიცი, ალბათ პატარები იქნებიან.... თქვენ ბრძანებთ, „უფროსი თაობის ვალია, გადაარჩინოს ჩვენი ერის მომავალი... თქვენ ბრძანებთ, „გვჭირა ისიც, რომ ეს პატივცემული ადამიანები საკუთარი სიცოცხლის განწირვით მაგალითს მისცემენ სხვა პატრიოტებსო“. კი, მაგრამ, თუ თქვენი კი არა, არც არავის შეხსენება არ გვჭირდება და ჩვენით გადავწყვიტეთ, თავი გავწიროთ და მაგალითი მივცეთ სხვა პატრიოტებს, რას გვერჩით? რისთვის იყო საჭირო ამ ირონიული წერილის დაბეჭდვა?

ომის დამთავრების შემდეგ, თქვენ, ქალბატონო ელისაბედ (კაკაურიძე), ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს სთავაზობთ ცხელ წერტილებში იარაღით ხელში წავიდეს სასიცოცხლო ობიექტების, რკინიგზის, ხიდების და სხვა (სხვა?) დასაცავად... მართლა აფერუმ თქვენ, ქალბატონო ელისაბედ, თქვენ რა, თქვენ არ გეკადრებათ ხიდებისა და რკინიგზების დაცვა? მაგრამ ძაღლის თავი სხვაგანაა დამარხული, თქვენ (თუ მართლა არსებობთ, ქალბატონო ელისაბედ) ბოლომდე მოტყუებული ბრძანდებით, თორემ როგორ შეიძლება ქართველი დედა სამ შვილს უზრდიდეს მომავალს და ასეთ შეურაცხმყოფელ წერილს აწერდეს ხელს?

ჩვენ რომ არ გვიცნობთ, ნათელია, მაგრამ რაც მთავარია, არ იცნობთ ი. „ბერია სპექტრის“ რედაქტორს ი. გოცირიძეს, იგი ბუნქერგამოვლილი ეშმაა და მტერს შეუჩნდა, გირჩევთ გაიკითხოთ, ვინაა, საიდან მოდის, რომელ ოჯახში გაიზარდა, გამოჩენილი ქართველი მწერლის სერგო კლდიაშვილის ოჯახში? მაშინ, ჰკითხეთ ბატონ სერგოს ოჯახის წევრებს, ჰკითხეთ ი. გოცირიძის ცოლყოფილებს (მე რომ მკითხოთ, არც ერთი გასაშვები არ იყო, მაგრამ რა ჩემი საქმეა, გენერალი დუდაევი ხომ არა ვარ, სხვა ქვეყნის, და კერძოდ, „იბერიის“ შინაურ საქმეებში ჩავერიო?), ჰკითხეთ, მის ყოფილ ამხანაგებს, ყოფილ უბნელებს, ჰკითხეთ სამსახურებს, სადაც თავად უმსახურია. იქნებ, თქვენებრ მოტყუებული და იშვიათი მოწმე სანათესაოშიც და ყოფილ მეგობრებშიც იპოვოს, მაგრამ ეს ხომ მისი ხელობაა, მოწმე, სასამართლო, მილიცია, პროკურატურა, ბოლოს, „გამარჯვება“. ი. „ბერია-სპექტრის“ უფროსი ი. გოცირიძე პრეზიდენტყოფილის ლაქიის როლს თამაშობს (არც თუ ძალიან კარგად).

ეს პოზა დღეს განსაკუთრებით მომგებიანია, ვიღაცას ებრძვი, თუ ეს ვიღაცა მართლა ღირსეულია და საჭირო პიროვნება საქართველოსთვის, მაშინ ყურადღებასაც მოგაქცევენ და ძაღლად ჩაგაგდებენ.

ქალბატონო ელისაბედ (აქ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მიყვარს ეს სახელი, ელისაბედი ერქვა ჩემს საყვარელ ბებიას, მამაჩემის დედას), თქვენ ბრძანებთ, რომ ჩვენ სხვებს მოვუწოდებთ სამშობლოს დასაცავად წასვლას, თავში მოგახსენეთ, სცდებით, პირიქით, ხმამაღლა ითქვა, რომ „დროებით კალამს ქარქაშში ვაგებთ და ჩვენს შვილებს კი არ მოვუწოდებთ, არამედ, ჩვენ მივდივართ ჩვენი შვილების დასაცავად, თქვენი შვილების დასაცავად (ვაი, თუ ქალბატონი ელისაბედ კაკაურიძე საერთოდ არ არსებობს და ტყუილუბრალოდ ვირჯები).

როცა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ხალხის გაწვევის საკითხი დაისვა, მე ხმამაღლა ვთქვი: გაწვევა უნდა მოხდეს 60 წლის ჩათვლით. ეს იმიტომ ვთქვი, რომ მე არავის გამოვრჩენოდი, ხოლო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ თავის საბოლოო სიტყვაში დასძინა, რაც შემეხება მე, მე ჩამთვალეთ პირველ რიგით ჯარისკაცად, აქედან უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე ყოველგვარი ასაკი დაითრგუნა, რადგან ჩვენ, ყველანი, სამოც წლამდეც და 60 წელს გადაცილებულნიც, გავემზადენით მამულის დასაცავად. საერთოდ, ერთი რამ კი მინდა იცოდეთ: იმ დღიდან, რაც გამსახურდიამ პრეზიდენტობისთვის დაიწყო ჩალიჩი (სხვა სიტყვა ვერ მოვძებნე) და ბედკრულ საქართველოს პროვინციული ფაშიზმის კბილი უჩვენა, ქართველ მამულიშვილებთან ერთად ვდგავარ და ვიბრძვი დემოკრატიისთვის, მადლობა ღმერთს, გვერდიდან არ მოშორებიან ჩემი შვილები (იმათაც დედა ჰყავთ, მოხარული ვიქნები, თუ მობრძანდებით ჩვენს ოჯახში, ჩემი მეუღლის გასაცნობად), ვიდექ მედგრად, ტყვიის წვიმაში, ვიდექ მანამ, სანამ ბუნკერში შემძვრალი პრეზიდენტი არ გამოძვრა ბუნკერიდან, არ გაიძურწა ჩეჩნეთში და არ შეძვრა დუდაევის ტანკში...

ეს რომ ასე იყო, დამემოწმებიან გვარდიისა და „მხედრიონის“ ნამდვილი წევრები (და არა, მიტმასნილი) — მე მათთან ერთად ვიყავი, და თუ საჭირო გახდა, კვლავაც მათთან ვიქნები, „ჩვენ ვიცავდით და კვლავ დავიცავთ“ ჩვენს საქართველოს, მაგრამ ღმერთმა საქართველოს ისე ნუ გაუჭირვოს, რომ ი. გოცირიძის დასაცავი გახდეს, ღმერთმა ნუ ქნას (სხვათა შორის, ვერც ხიდებისა და მატარებლების დაცვას მივანდობთ...)...

რაც შეეხება მოწოდებას, მე უკეთესს ვერაფერს მოვუწოდებდი, ვიდრე დიდი ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა დედასაც და შვილსაც, რათა გოჯი მიწა არ დაეთმოთ მომხდურისთვის.

ვისაც მე არ შეუკლავს
როს მამულს სჭირვებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას,
შვილი არ ჰყვარებია.
მას დიდის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისათვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია.

ქალბატონო ელისაბედ, (თუ მართლა არსებობთ, და რაიმე შეხები წერტილი გაქვთ ამ ირონიულ წერილთან), შეეშვით გოცირიძე ქოსატყუილას და ყური დაუგდეთ დიდ ილია ჭავჭავაძეს, ყური დაუგდეთ ერის მამას...

ბოლოს, ი. გოცირიძეს მინდა მივმართო დიდი ილიას „ნანას“ ბოლო სტრიქონებით:

„თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა, ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქმნები,
ვით დიდის შენის ცრემლი“.

ხომ ნახეთ, რა კარგად მთავრდება, ახლა იცით რას გეტყვით?

„რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმისრულე.“

კვლავ დასძენს დიდი ილია ჭავჭავაძე.

1992 წელი, სექტემბერი

P. S... თუ ახალი ცინიკური წერილისთვის ავტორის გვარი არ შეგირჩევიათ და მკითხველს გული გინდათ აუჩუყოთ, მე გასწავლით, როგორ უნდა მოიქცეთ, წერილს ბოლოში მიაწერეთ:

ქეთევან წამებულაშვილი,
ნინოწმინდა, ცხრა ძმის ქუჩა №9
ცხრა ვაჟის დედა.

ასე უფრო გაჭრის.

გულისტკივილით

გულგრილობა თუ საბოტაჟი?

ანუ ინფორმაციული შიმშილის ერთი კონტური

5. **მეგრელიძე რამაზ ჯემალის ძე** — 1960, ინჟინერ-ეკონომისტი, ავღანეთის ვეტერანთა საქ. კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) პარტია
6. **დავითაძე მურმან დავითის ძე** — 1959, ისტორიკოსი, მოსკოვის სარეგიონთაშორისო პროგრამების ცენტრის ფილიალის დირექტორი, უპარტიო
7. **ჟორჟოლიანი ავთანდილ უშანგის ძე** — 1958, ინჟინერ-მექანიკოსი, ქობულეთის პურკომბინატის ტექნოლოგი, სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების (ავღანელთა) პარტია

ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია

№ 2 მრავალმანდატიანი ოლქი

1. **გოლიაძე გიორგი ნიკოლოზის ძე** — 1968, მომღერალი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
2. **სოხაშვილი ავთანდილ გიორგის ძე** — 1962, სპორტსმენი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტიის თანათავმჯდომარე, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
3. **ლვინიაშვილი ზონარ კონსტანტინეს ასული** — 1935, მედდა, სარაჯიშვილის სახ. ნევროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მედდა, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
4. **გოლიაძე ნანა სერგის ასული** — 1950, ბიოლოგი, ნევროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
5. **კუნდუხაშვილი ალექსანდრე სამსონის ძე** — 1948, ავტოინჟინერი, სახ. ავტოინსპექციის სამორიგეო ნაწილის უფროსი, უპარტიო
6. **ხორბალაძე ვარვარა იორდანეს ასული** — 1935, პედიკურის ოსტატი, საყოფაცხოვრებო გაერთიანების ქალთა ხელოსანი, უპარტიო
7. **პაიჭაძე რეზო ივანეს ძე** — 1943, პოლიგრაფისტი, დროებით უმუშევარი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
8. **ჭურღიანი ნოდარ აკაკის ძე** — 1929, ისტორიკოსი, ქ/თ „ელისოს" დირექტორის მოადგილე, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
9. **გოგია ზურაბ რევაზის ძე** — 1960, მძღოლი, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მძღოლი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
10. **კაკულია დავით ტრისტანის ძე** — 1967, ტექნოლოგი, დროებით უმუშევარი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია
11. **ხორბალძე რამაზ დავითის ძე** — 1969, ოსტატი, დროებით უმუშევარი, საქართველოს ქრისტიანულ-ლიბერალური პარტია

ყველაფერი მშრომელებისთვის!

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა

1. პოლიტიკური ცხოვრების სფეროში

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის მიზანია დაიცვას რესპუბლიკის მშრომელთა — მუშების, გლეხების, ინტელიგენციის — პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი ინტერესები, მათი სოციალური მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილებისა და რელიგიური რწმენის განურჩევლად.

რესპუბლიკის მოქალაქეთა, ავტონომიურ გაერთიანებათა და ადგილობრივ თვითმმართველობათა უფლებები განსაზღვრული და განმტკიცებული იქნება საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მიღებაც ახლადარჩეული საკანონმდებლო ორგანოს უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა შემუშავდეს დემოკრატიული სახელმწიფოთა გამოცდილებისა და საქართველოს დღევანდელ რეალობათა გათვალისწინებით. კონსტიტუციური უფლებების და მოვალეობების ზუსტი დაცვა უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ ხალხის ნებით შექმნილი და მის კონტროლს დაქვემდებარებული პოლიტიკური ინსტიტუტების მეშვეობით.

ყველა უმნიშვნელოვანესი კანონპროექტი, რომელიც შეეხება მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებს, უნდა განიხილებოდეს ღიად და ფართოდ საყოველთაო კენჭისყრის (რეფერენდუმის) გზით. კანონები და ყველა სხვა სახის ნორმატიული აქტები უნდა იყოს ერთმნიშვნელოვანი, მარტივი და პრაქტიკულად გასაგები მოქალაქეებისათვის. კონსტიტუციის დაცვის მექანიზმი იქნება კონსტიტუციური სასამართლო, რომელსაც აირჩევს პარლამენტი.

პოლიტიკურ სტრუქტურაში ხელისუფლება წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ერთმანეთისაგან გამიჯნულ სისტემად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომლებიც იმოქმედებენ მხოლოდ კანონის საფუძველზე. ნებადართული იქნება პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების — პროფესიული, ახალგაზრდობის, ქალთა, ვეტერანთა, შემოქმედებითი კავშირების და სხვა რეგისტრირებულ ორგანიზაციათა თავისუფალი საქმიანობა. მათი აკრძალვა დაუშვებელია, თუ ჩადენილი არა აქვთ ანტიკონსტიტუციური მოქმედება. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და პოლიტიკური პარტიები უნდა სარგებლობდნენ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით.

საქართველოში სახელმწიფო ენა იქნება ქართული. ამასთან ყველა მოქალაქეს თავისუფლად შეეძლება ისარგებლოს სხვა ენით, რომელიც მისთვის მშობლიურია ან უფრო მოსახერხებელია ადამიანებთან ურთიერთობისათვის. ადამიანებს ექნებათ რწმენის, სიტყვის, ბეჭდვის თავისუფლება; მიტინგების, დემონსტრაციების, კრებების მოწყობის უფლება. არ დაიშვება რელიგიური, რასობრივი ეთნიკური ხასიათის შეზღუდულობა. საქართველოში მცხოვრებნი, მოქალაქეობის მიუხედავად, იცავენ რესპუბლიკის კანონებს, პატივს სცემენ აქ მოსახლე ყველა ხალხის ტრადიციებს და წესჩვეულებებს. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, გარდაქმნა, გაუქმება ან სახელის გამოცვლა შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას.

2. მატერიალური ცხოვრების სფეროში

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია თვლის, რომ მოქალაქეებს ექნებათ თანაბარი უფლება სამეურნეო თუ სხვა საქმიანობის დარგში, მეწარმეობითი, შემოქმედებითი, ორგანიზატორული შრომის თავისუფლება.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია უპირატესობას ანიჭებს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას. ამასთან კონკრეტული პირობების გათვალისწინებით მხარს უჭერს საკუთრების იმ ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოცემულ კონკრეტულ პირობებში შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ზრდის შედარებით მაღალ ტემპს, საზოგადოებრივ წარმოებაში შეტანილი წვლილის მიხედვით განაწილების სამართლიანი პრინციპის განხორციელებას, გამორიცხავენ ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ექსპლოატაციას, უმუშევრობას, ეკოლოგიურ და ტექნიკურ საფრთხეს. სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს.

ქალაქში აღდგენილი უნდა იქნეს დღემდე არსებული საბინაო აღრიცხვა და ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფნი დაკმაყოფილდნენ სახელმწიფო ბინებით უფასოდ.

დიდი და საშუალო საწარმოები უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო მცირენი — შეიძლება გაიცეს იჯარით ან უსასყიდლოდ გადაეცეს შრომით კოლექტივებს კოლექტიურ (კოოპერატიულ) საკუთრებაში.

პარტიას მიაჩნია, რომ მიწა, წყალი, წიაღისეული, ტყის მასივები, საერთოდ წარმოების ძირითადი საშუალებანი საერთო სახალხო საკუთრება უნდა იყოს. მიწის ერთი ნაწილი გადაეცემა მუდმივ სარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით საკარმიდამოდ, სახნავი, სააგარაკო ნაკვეთების სახით, როგორც სოფლად, ისე ქალაქად მცხოვრებ მოქალაქეებს დიფერენცირებული ნორმის მიხედვით. მიწის იჯარით აღება ნებადართულია. მიწის მფლობელობისა და სარგებლობის უფლება ექნებათ კოოპერაციულ მეურნეობებს. კოოპერაციული მეურნეობის ფორმებს განსაზღვრავენ თვითონ მოცემულ დასახლებულ პუნქტში მცხოვრებნი.

3. მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია მოითხოვს, რომ ხელისუფლების ძირითადი საზრუნავი იყოს: მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების თანმიმდევრული და სისტემატური გაუმჯობესება, ყველა შრომისუნარიანის ჩაბმა შრომაში, უმუშევრობის აღმოფხვრა, ცხოვრებისათვის საჭირო მინიმალური დონის განსაზღვრა და მისი დაქვეითების ტენდენციის თავიდან აცილება. სასიცოცხლო მოხმარების პროდუქციაზე და საგნებზე სახელმწიფოს მიერ ფასების ისეთნაირად რეგულირება, რომ მოსახლეობის ყველა ნაწილს შეეძლოს მათი შეძენა დადგენილი ბიოლოგიური ნორმების შესაბამისად. პენსიის რაოდენობა ძირითადად უნდა განისაზღვროს მუშაკის შრომითი საქმიანობის დონის შესაბამისად.

სახელმწიფო უნდა გახდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის მტკიცე გარანტი. მოხუცები და ინვალიდები იმსახურებენ საზოგადოების ყურადღებას და პატივისცემას. განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა იყვნენ გარემოცულნი ომისა და შრომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახები. ახალგაზრდებს უნდა შეექმნათ სწავლის, შრომის, დასვენების, სპორტში მეცადინეობის პირობები.

სახელმწიფომ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ტერორიზმს, კორუფციას, მექრთამეობას, ნარკომანიას, მუქთახორობას, ქურდობას, ბანდიტიზმს.

პარტია გადაჭრით გმობს ბიუროკრატიზმსა და ადამიანების სამართლიანი მოთხოვნილებებისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფასო სამედიცინო მომსახურება და განათლება.

სახელმწიფო მოსამსახურეებს, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულებს, პენსიონერებს და სტუდენტებს ხელფასები, პენსიები და სტიპენდიები უნდა მიეცეთ ინდექსირებული თანხით. საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არ ჰყავს ახლობლები, მოხუცებულობისა და ინვალიდობის პირობებში უნდა პატრონობდეს სახელმწიფო.

4. სულიერი ცხოვრების სფეროში

პარტია გულმოდგინედ იზრუნებს და ყველაფერს მოიმოქმედებს ქართული ზნეობრივი ტრადიციების პატივისცემისათვის, უმცროს-უფროსთა ურთიერთობის ინსტიტუტის, ქართული ოჯახური ზრდილობიანობის აღდგენა-გამოცოცხლებისათვის, სხვა ეროვნების ხალხთა წეს-ჩვეულებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებისათვის.

იგი უარყოფს ჩვენი ისტორიული წარსულის, წინაპართა და უფროს თაობათა ლანძღვა-გინებისა და განქიქების ცდებს, განსხვავებულ შეხედულებათა მქონე პირებისადმი მტრულ და ცინიკურ დამოკიდებულებას; სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს ბილწსიტყვაობას, მოხუცებისადმი, ქალებისა და ბავშვებისადმი უპატივცემულობას.

გადაჭრით უნდა აიკრძალოს პორნოგრაფიული და ძალადობის პროპაგანდის ამსახველი ლიტერატურის გამოცემა, ამგვარი მხატვრული და ვიდეო ფილმების ჩვენება. სახელმწიფომ მკაცრი კონტროლი უნდა დააწესოს და მტკიცე სამართლებრივი ბარიერი შექმნას სადიზმის, ნარკომანიის, ალვირახსნილობის, ძალადობის, უხამსი ეროტიკული ნაწარმოებების, აზარტული თამაშების წინააღმდეგ.

ხელისუფლება უნდა იღვწოდეს პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის, მის შეგნებასა და მოქმედებაში ჰუმანურობის, კაცთმოყვარეობის, ურთიერთპატივისცემის, სხვების მოსაზრებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბებისათვის; გადაჭრით უარყოფდეს სოციალური, ეროვნული და რელიგიური დაპირისპირების გამოვლინებებს.

გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისადმი დახმარება და ქველმოქმედება ზნეობრივი ნორმა უნდა გახდეს.

მეცნიერების, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის განვითარება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების უპირველესი ზრუნვის ამოცანად უნდა იქცეს.

რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება ექნებათ ჰქონდეთ საკუთარი იდეები, მოსაზრებები და შეხედულებები, რომელთა გამოთქმა და გავრცელება არ აიკრძალება, თუ ის არ შეიცავს ომის პროპაგანდას, რელიგიური დაპირისპირებულობის, არსებული წყობილების სამხედრო ძალით დამხობის, პიროვნების ღირსების შემლახველ მოწოდებებს.

მოქალაქეთა განათლების დონე უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოების პერსპექტიული განვითარების ეტაპს და იძლეოდეს ახალგაზრდების მატერიალურ წარმოებასა და სულიერ სფეროში ჩაბმის საფუძველს მათი ნიჭისა და უნარის შესაბამისად. სახელმწიფომ სწორად უნდა განსაზღვროს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში კონტინგენტების რაოდენობა მათი დასაქმების პერსპექტივის გათვალისწინებით.

5. სამართლებრივი სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბების სფეროში

საქართველო უნდა გახდეს სამართლებრივი, დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, რომელიც მას განაგებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. კონსტიტუციაში ნათლად და ცალსახად უნდა გამოიკვეთოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ორგანოს და უმაღლესი სასამართლოს უფლებები, მოვალეობები, ფუნქციები. მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებების გადამეტების ან კანონის დარღვევის შემთხვევები უნდა განიხილოს კონსტიტუციურმა სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. კონსტიტუციურ სასამართლოს ქმნის საკანონმდებლო ორგანო.

საქართველოს უნდა ჰქონდეს ქვეყნის შიგნით ბოროტმოქმედი ელემენტებისაგან დაცვის საიმედო მექანიზმი, საკუთარი შეიარაღებული ჯარის და პოლიციის სახით, რომლებიც იმოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ კანონის შესაბამისად და პასუხს აგებენ კანონის წინაშე.

რესპუბლიკას ეყოლება საკუთარი არმია, რომელმაც ყოფილი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროდან უნდა მიიღოს თავისი წილი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ავიაცია და სხვა სამხედრო ტექნიკა და ნაგებობები.

საქართველოს მშრომელებს უნდა ჰქონდეთ მშვიდი ცხოვრების პირობები. არავის არა აქვს უფლება დააკავოს და გაჩხრიკოს მოქალაქე, თუ ამაზე არ არსებობს კანონის შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების დადგენილება. ყოველი ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალდება არ იქნება დადასტურებული კანონის შესაბამისად პირუთვნელი და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ. სიკვდილით დასჯა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც წინასწარ განზრახვით მოკლავს ადამიანს.

პიროვნების პირად ცხოვრებაში ჩარევა აიკრძალება. სახელმწიფომ უნდა დაიცვას მიმოწერის და სატელეფონო საუბრის საიდუმლოება. პიროვნების ღირსების შეურაცხყოფა საჯაროდ, პრესის, რადიოს და ტელევიზიის საშუალებით კანონით აიკრძალება.

საქართველოს მოქალაქე უფლებამოსილი უნდა იყოს იმოგზაუროს და იცხოვროს ნებისმიერი სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში.

პარტია მხარს უჭერს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციას და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად.

საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების შვილებმა ერთად, ერთმანეთთან მხარში დგომით უნდა ვაშენოთ ახალი ცხოვრება, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ძმობას, სიყვარულს, მეგობრობას, საქართველოს ერთიანობას და მთლიანობას, მისი საზღვრების ხელშეუხებლობას.

ასეთია საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის საპარლამენტო წინასაარჩევნო პროგრამა.

პარტიას იმედი აქვს, რომ ამომრჩევლები გულისყურით გაეცნობიან პროგრამას, გაიზიარებენ მის დებულებებს და თავიანთ მხარდაჭერას გამოხატავენ ჩვენი პარტიისათვის ხმის მიცემით პარლამენტის მომავალ არჩევნებში.

ეროვნული კონგრესის საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოების საარჩევნო პროგრამა

პოლიტიკური ნაწილი

საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება, რომელიც ამ სახელით ჩამოყალიბდა 1988 წლის მიწურულს, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას ერთ სიბრტყეში არსებულ ცნებებად განიხილავს და საპროგრამო მიზნების მისაღწევად უპირატესობას მშვიდობიან, პოლიტიკურ გზებს ანიჭებს. იგი შემდგომშიც ამ პრინციპებით იხელმძღვანელებს შიდაპარტიული, პარტიათაშორისი თუ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი მიდგომისას.

ეროვნული კონგრესის საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება (ამჟამად მას ასე ეწოდება), რომელსაც თავიდანვე ეროვნული პარტიის პოზიცია გააჩნდა, მომავალშიც მთელ ძალებს მოახმარს ამ პოზიციის შესაბამისად განახორციელოს თავისი მიზნები, რადგან, ვეფუძნებით იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიო აზროვნებამ თავისი განვითარების მანძილზე განვლო სამართლებრივამდელი და სამართლებრივი მეხსიერების პერიოდები. დღევანდელი ცივილიზებული სამყარო სწორედ აქედან გამომდინარე, ისტორიული და სამართლებრივი პრინციპებით ხელმძღვანელობს საერთაშორისო ურთიერთობაში.

ყოველი დიდი თუ მცირე სახელმწიფო თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე, სხვადასხვა სიდიდის ტერიტორიებს ფლობდა, ზოგიც, საერთოდ ალიგავა პირისაგან მიწისა იმის გამო, რომ მათი უშიშროების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმი არ არსებობდა ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი სახელმწიფო სხვათა საზღვრებს (მიუხედავად იმისა, კანონიერი იყო თუ უკანონო, იგი ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით) სცნობდა მანამდე, სანამ ძალას მოიკრებდა მის შესაცვლელად. ე. ი. არსებობდა, მხოლოდ ცნება დე ფაქტო, რაც, როგორც ეს ცხოვრებამ დაადასტურა, არ იძლეოდა საზღვრების ხელშეუხებლობის მყარ საფუძველს. ამ მხრივ, მდგომარეობა მკვეთრად გამოსწორდა XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც შეიქმნა გაეროს წინამორბედი საერთაშორისო ორგანიზაცია, ერთა ლიგა, რომელმაც სახელმწიფოთა საერთაშორისო აღიარება-ცნობისას საზომად დე ფაქტოსთან ერთად, შემოიღო და დაამკვიდრა ცნება დე იურე.

ცივილიზაციის განვითარების ეს სტადიები სრულად გაიარა საქართველომ, როგორც სახელმწიფომ. ეროვნული კონგრესის საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოების თვალსაზრისით, დღეს, როდესაც მიმდინარეობს ხელახალი მსოფლიო გადანაწილება, ქართველი ერის უპირველესი საგარეო-პოლიტიკური ამოცანაა, დავიბრუნოთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამართლებრივი უფლება შევუნარჩუნოთ შთამომავლობას დე ფაქტო და დე იურე ერთხელ უკვე აღიარებული 1918-21 წლის საქართველოს სამართალმემკვიდრეობაზე.

ამასთან ერთად, ჩვენ, საქართველოს განვიხილავთ, როგორც ქართველთა ქვეყანას, თავისთავადი კულტურით, ენით და წესჩვეულებებით. ქართველი ერი ბუნებით დემოკრატი და შემწყნარებელია. ისტორიულად საქართველოში ეროვნული უმცირესობები არასოდეს დაუჩაგრიათ. ილია მართლის საზოგადოებას მიაჩნია, რომ საქართველოში თუ ვინმე უფლებები არის შელახული, ეს ისევ მკვიდრი მოსახლეობისა, და, გვწამს, რომ, თუ ქართველთა უფლებები იქნება საქართველოში დაცული, ეს ამავე დროს, აქ მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტი იქნება.

დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოში, ჩვენი აზრით, სახელმწიფო ხელისუფლება უნდა განაწილდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. საქართველოში უნდა დავამკვიდროთ, სახელმწიფო წყობილების ისეთი სტრუქტურები, რომლებიც ქართველი კაცის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათისა და ზნეობის გათვალისწინებით, სადღეისოდ სრულად ჩადგება ერის სამსახურში. სახელმწიფო მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად მიგვაჩნია პარლამენტური მმართველობა. პარლამენტი უნდა შედგებოდეს ორი — ზედა და ქვედა პალატისაგან. ქვედა პალატის წევრებს ირჩევენ საყოველთაო, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით, ხოლო ზედა პალატას — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული პრინციპით. პარლამენტი ირჩევს თავმჯდომარეს, ხოლო პალატები, — საკუთარ სპიკერს.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა. მთავრობის შემადგენლობას ადგენს მისი თავმჯდომარე, მას განიხილავს ზედა პალატა და ამტკიცებს ქვედა პალატა. მთავრობის თავმჯდომარეს პარლამენტი ნიშნავს თავისი შემადგენლობიდან, ორი წლის ვადით. პარლამენტის უნდობლობის შემთხვევაში, მთავრობა მთლიანად ან მისი ცალკეული წევრები ვალდებული არიან, გადადგნენ.

სასამართლო ხელისუფლებას წარმოადგენს უმაღლესი სასამართლო, 11 კაცის შემადგენლობით. უმაღლესი სასამართლოს წევრებს ირჩევენ საყოველთაო, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით, 6 წლის ვადით. სასამართლო მოვალეა დაიცვას კონსტიტუცია და სხვა კანონები. სასამართლო განაჩენის გადასინჯვის უფლება აქვთ მხოლოდ ზემდგომ სასამართლო ორგანოებს. სასამართლოში არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

ხელისუფლების ამგვარი განაწილება, საქართველოში უზრუნველყოფს დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებასა და განმტკიცებას, თითოეული მოქალაქისთვის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით მინიჭებული უფლებების სრულად განხორციელების გარანტიებს.

ეროვნული კონგრესის საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოების აზრით, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აშენების აუცილებელი წანამძღვარია საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანა, რომლებიც საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) დღემდე შექმნილი ეთნო და ძმათაშორის კონფლიქტებს იწვევენ. თუ გვინდა, მსოფლიო სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ, ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მოვწყდეთ რუსეთის პოლიტიკურ ორბიტას. საქართველოს უშიშროების გარანტად საქართველოს ერთიან შეიარაღებულ ძალებთან ერთად, მიგვაჩნია ევროპისა და ამერიკის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან და მათ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსთან (ნატო) მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს, მეზობელ ქვეყნებთან, თუნდაც იმავე რუსეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობა არ ვიქონიოთ.

მიგვაჩნია, რომ ეკლესია დიდ როლს უნდა ასრულებდეს სწავლა-აღზრდის საქმესა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ უშუალოდ, სახელმწიფო მმართველობაში არ უნდა მონაწილეობდეს.

ეკონომიკური ნაწილი

საქართველოს რესპუბლიკა ბოლო წლებში, უსწორო მართვის შედეგად, მივიდა ეკონომიკური კატასტროფის პირას. კერძოდ, მთავრობა, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მოსალოდნელი ეკონომიკური კატაკლიზმების გაუთვალისწინებლად იღებდა, რაც, ნებისმიერი ქვეყნისთვის დამღუპველია, მით უმეტეს, თუ იგი ერთიანი ტოტალიტარული ეკონომიკური სივრცის ნაწილია, რომელსაც საკუთარი ფულის ერთეულიც კი არა აქვს.

რესპუბლიკის ეკონომიკური დონის მრავალჯერადმა დაქვეითებამ, ასევე მრავალჯერადად გაზარდა დამნაშავეობის დონე. დღეს თითქმის დანგრეულია დიქტატორული მართვის სისტემა, ხოლო მისი ადგილი ვერ დაიკავა საბაზრო-ეკონომიკური მართვის მექანიზმმა. საჭიროა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნა.

საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის უპირველესი და აუცილებელი ფაქტორებია:

— ეროვნული და სამოქალაქო თანხმობა;
— კანონის უზენაესობა;
— საკუთარი, ეროვნული ფულის ერთეული;
— საბაჟო სამსახურის მოწესრიგება;
— სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია;
— მარკეტინგული სამსახურის მხრივ, საშინაო და საგარეო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა;
— საბანკო-სავალუტო სისტემის მოწესრიგება;

რეფორმის განხორციელებისათვის აუცილებელია საკუთარი ფულის ერთეულის გამოშვება, უკიდურეს შემთხვევაში, დამცველი მექანიზმის არსებობა მანეთის ხელოვნური ინფლაციისაგან, თორემ გარდაუვალია რესპუბლიკიდან საქონლის გადინება.

ეკონომიკისა და იურისპრუდენციის სამსახურის მუშაკთა შეთანხმებული მოქმედება თავიდან აგვაცილებს უსიამო ექსპერიმენტებს, რომლებიც ამჟამადაც კეთდება.

უნდა შეიქმნას მეწარმეთა რეალური დამცავი მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას.

პრივატიზაცია განსახორციელებელი რეფორმის ყველაზე საფრთხილო და მტკივნეული ნაწილია. აუცილებელია კანონის დახვეწილი, ზუსტი ფორმულირება, სადაც მხოლოდ სამუშაო ადგილების დასაშვები რაოდენობის შენარჩუნების შემთხვევაში, კოლექტივს ან პიროვნებას ექნება უფლება, რომელიმე საბაზისო წელთან შეფარდებით, საწარმოს პრივატიზაციაზე. ეს თავიდან აგვაცილებს სოციალური ფენების ერთდროულ, მასობრივ უმუშევრობას, აიძულებს ხელმძღვანელს, იფიქროს არა მარტო საწარმოს რენტაბელობაზე, არამედ გამონთავისუფლებულ მუშაკთა სხვა მომსახურე სფეროში დასაქმებაზეც. ეს თავიდან აგვაცილებს იმ ინტელექტუალური პოტენციალის უქმად დარჩენას, რომელსაც საკმარისი ფინანსები არ აქვს საკუთარი წარმოების შესაქმნელად. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საქართველოში არსებული, უდიდესი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებისთვის.

პრივატიზაციის უფლების განხორციელება ყველას თანაბრად შეეძლება, თუ პრივატიზაცია სერტიფიკატებით მოხდა. სახელმწიფომ უნდა დათმოს წამყვანი პოზიციები ეკონომიკაში მას შემდეგ, როცა შეიმუშავებს ეკონომიკური რეგულირების მექანიზმს და გაჩნდება ბაზრის ჩამოყალიბების ნიშნები.

აუცილებელია პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა ერთიანი, შეთანხმებული მოქმედება, საჭიროა სიტუაციური მართვის რგოლში მათი გაერთიანება, რათა უზრუნველყოს საზოგადოებრივი წონასწორობა, მასების საარსებო მინიმუმის დაცვა, რაც შეამცირებს ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეულ პოტენციურ დამნაშავეობას.

მიწისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს მოქალაქეობის სტატუსის შემოღების შემდგომ.

ქვეყნისთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს საბაჟო სამსახურს; საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით და მარკეტინგული სამსახურის რჩევით, მთავრობა ვალდებულია, შეიმუშაოს საბაჟო გადასახადები საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. კანონიერების დაცვა საბაჟო მოხელისთვის ეკონომიკურად მომგებიანი უნდა იყოს (საბაჟოზე დაკავებული საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტი უნდა შეადგენდეს საბაჟოს მოხელის კანონიერ შემოსავალს).

რეფორმის განხორციელების დრო შეზღუდულია. საქართველოს ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, გონებრივი ძალები, განურჩევლად პოლიტიკური მრწამსისა, მზად უნდა იყვნენ, სამშობლოს სამსახურად; საქართველო არ უნდა დარჩეს ლოზუნგების ქვეყნად!

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 18 სექტემბრის რიგგარეშე სხდომაზე დაადგინა № 71 სოხუმის, № 72 გაგრის, № 75 გალის, № 75 გულრიფშის, № 76 ოჩამჩირის, № 77 სოხუმის რაიონის საარჩევნო ოლქებისათვის საარჩევნო ღონისძიებათა შემდეგი ვადები:

დეპუტატობის ადგილობრივმა კანდიდატებმა წარსადგენად განაცხადების შეტანის ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ — არა უგვიანეს 21 სექტემბრისა;

ადგილობრივი კანდიდატის მხარდამჭერთა სიების წარდგენა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის — არა უგვიანეს 25 სექტემბრისა;

დეპუტატობის ადგილობრივი კანდიდატების რეგისტრაციისათვის — 26-27 სექტემბერი;

ბიულეტენში დეპუტატობის კანდიდატების რიგითი ნომრის განსაზღვრა — კენჭისყრა — 28 სექტემბერი;

დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის ოქმის (კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით) და დეპუტატობის კანდიდატების თითო საარიცხვო ბარათის წარდგენა ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის — 29 სექტემბერი;

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში თავმჯდომარის მოადგილის და 2 წევრის დანიშვნა — არა უგვიანეს 22 სექტემბრისა;

პარტიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში თითო წევრის დანიშვნა — არა უგვიანეს 25 სექტემბრისა;

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო კომისიების შევსება — 26-27 სექტემბერი;

საუბნო კომისიებში თავმჯდომარისა და მდივნის არჩევნები — 28-29 სექტემბერი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ზ. ზესაშვილი,
კომისიის მდივანი
ნ. სხირტლაძე.

გუშინდელი ფოსტიდან

◆

რედაქცია — მერი?!

ვფიქრობთ, ჩვენს მდგომარეობაში რესპუბლიკის ბევრი რაიონული გაზეთის რედაქცია იქნება და ალბათ ამ პატარა წერილით მათ გულისტკივილსაც გამოვთქვამთ.

ყაზბეგის რაიონული გაზეთი „დარიალი" დღემდე დოტაციით არსებობდა, რომელსაც ჰქონდა ძალზე ღარიბი ტექნიკურ-მატერიალური ბაზა, ჰყავდა არაკვალიფიციური კადრი, როგორც რედაქციაში, ასევე სტამბაში, სიშორისა თუ უგზოობის გამო (ზამთრის პერიოდში) გაძნელებული იყო მისთვის რაიმე დახმარების გაწევა. მაგრამ გაზეთი მაინც არსებობდა და პირნათლად იხდიდა თავის მოვალეობას რაიონის მშრომელთა წინაშე.

დრომ მოიტანა და დოტაციაზე მყოფი გაზეთები სამეურნეო ორგანიზაციებად გამოცხადდა, რომლებმაც თავიანთი შემოსავლით უნდა იარსებონ. (ჩვენთვის ხელფასების არც გაორმაგებაა და არც 56 და 30 პროცენტით მომატება). ამას ისიც ემატება, რომ საშინლად გაძვირდა ქაღალდი, სასტამბო ხარჯები, რისი ანაზღაურებაც ისედაც ღატაკ რედაქციას არ შეუძლია.

მაშ, რით იარსებოს რედაქციის მუშაკმა, როცა ამჟამად არსებული ხელფასი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პურის ფულადაც არ ჰყოფნის?

იქნებ, რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინოს რაიონული გაზეთების რედაქციების მდგომარეობა და შესაბამისი ღონისძიებები მიიღოს, მით უმეტეს ისეთ ღარიბ რაიონებში, როგორიც მცირემოსახლეობიანი და ერთდარგოვანი (მეცხოველეობა) ყაზბეგია, რომლის მესვეურებს ვერ გამოუნახავთ საშუალება რედაქციის ფინანსური უზრუნველყოფისათვის... წინააღმდეგ შემთხვევაში ალბათ, ასეთი რედაქციები არსებობას შეწყვეტენ.

შოთა არაბული,
ყაზბეგის რაიონული გაზეთის „დარიალის" რედაქტორი.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრესსამსახურის განცხადება

17 სექტემბერს გურიის საარჩევნო ოლქში სოფ. ძიმითში ამომრჩევლებთან შეხვედრის შემდეგ გზაში შეიარაღებულმა პირებმა ავტომატის ცეცხლი დაუშინეს ჩვენი პარტიის დეპუტატობის კანდიდატებს. დაზიანდა ავტომანქანა, პარტიის წევრები, ბედად, გადარჩნენ.

ამ შემთხვევის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრესსამსახურს საკმაო საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ეს ფაქტი გამოწვეულია იმით, რომ პარტიის ეკონომიკურმა პროგრამამ ავადმყოფურად გააღიზიანა მაფიოზური ჯგუფები.

მოვითხოვთ სამართალდამცავი ორგანოებისგან პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ელემენტარული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ქველმოქმედება დროის მოთხოვნაა

19 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი ბატონი ვახტანგ გოგუაძე თბილისის სათნოების სახლს ეწვია. როგორც საზოგადოებრიობამ იცის, ამ დღეებში სახელმწიფო საბჭომ განიხილა რესპუბლიკის სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარების, და საერთოდ ამ მხრივ რესპუბლიკაში სხვადასხვა გზით მიმდინარე საქმიანობის ხელშეწყობის, გაფართოების და მხარდაჭერის ღონისძიებანი. სახელმწიფო დონეზე ამ საკითხების მოგვარებასა და გადაჭრასთან ერთად სახელმწიფო საბჭომ მოიწონა და მხარი დაუჭირა იმ საქველმოქმედო მოძრაობას, რომელიც რესპუბლიკაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივით დაიწყო და ვითარდება. ასეთია, მაგალითად, საქველმოქმედო ორგანიზაცია „კათარზისი", რომლის სათნოების სახლიც თბილისში მდებარეობს.

ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ დაათვალიერა სათნოების სახლი, შეხვდა და ესაუბრა აქ მისულ ადამიანებს. შემდეგ სათნოების სახლის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ხელმძღვანელთა მონაწილეობით გაიმართა საუბარი ამ უმნიშვნელოვანესი მოძრაობის გაფართოებისა და დახმარების კონკრეტულ პრობლემებზე.

აფხაზეთის ამბები

სიტუაცია გამწვავდა

აფხაზმა მოლაშქრეებმა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ექსტრემისტებმა 19 სექტემბერს ბზიფის ხეობაში ცეცხლი დაუშინეს ავტობუსს, რომელშიც ისხდნენ ორგანიზაცია „მხედრიონის" და სხვან მაშველთა ალპური კორპუსის მეომრები. ამ ტერორისტული აქციით აღშფოთებულმა სოხუმის მცხოვრებლებმა გუშინ გუმისთის რაიონში დააკავეს დაბა ქვემო ეშერისაკენ მიმავალი მანქანა, რომელშიც ისხდნენ კონტროლისა და ინსპექციის კომისიის წარმომადგენლები რუსეთის, საქართველოსა და აფხაზეთისაგან.

აღგზნებულმა ადამიანებმა წაართვეს მეთვალყურეებს ავტომანქანა და იარაღი, გამოთქვეს საყვედური მათი არაეფექტიანი მუშაობისათვის, მოითხოვდნენ დაეფიქსირებინათ ის ფაქტი, რომ აფხაზეთის მხარემ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ საბოლოო დოკუმენტის პირობები.

ზოგიერთი მონაცემის თანახმად, სიტუაცია გამწვავდა მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იცნეს აფხაზეთის მხარის წარმომადგენელი — პოლკოვნიკი აგრბა, შეიარაღებული აფხაზური ფორმირების — შინაგანი ჯარების პოლკის ოფიცერი. სწორედ ამ პოლკმა დაუშინა 14 აგვისტოს ცეცხლი საქართველოს სამთავრობო ჯარებს.

ინციდენტის ადგილზე მოსულმა გვარდიელებმა, როგორც სამთავრობო ჯარების სარდალმა აფხაზეთში გიორგი ყარყარაშვილმა გვაცნობა, განმუხტეს ვითარება, მეთვალყურეებს დაუბრუნეს ავტომობილი და იარაღი.

საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლები არ უარყოფენ იმას, რომ მეთვალყურე აფხაზეთისაგან დააკავეს მოსახლეობის მიერ მის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებთან დაკავშირებული გარემოებების გამორკვევამდე. მაგრამ, იმავე დღეს, 20 სექტემბერს იგი გამოუშვეს.

სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრი

მაღალი ძაბვის ქურდები

საქართველოს ენერგოსისტემაში ბოლო ხანს უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. უკვე რამდენიმე თვეა საქმთავარენერგოს ობიექტები უცხო პირთა ყაჩაღური თავდასხმებისა და სახელმწიფო ქონების ხელყოფის ასპარეზი გახდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა წინასწარ განზრახული აფეთქების შედეგად მიმდინარე წლის მაის-ივნისში 5-ჯერ დააზიანეს ენერგოსისტემისთვის და რესპუბლიკისთვის საარსებო მნიშვნელობის 500 კილოვატის მაღალი ძაბვის მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზები „იმერეთი" და „კავკასიონი". ამან გამოიწვია ენერგოსისტემის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურიდან ენგურჰესიდან რესპუბლიკის აღმოსავლეთში ელექტროენერგიის გადაცემის შეზღუდვა, გარკვეული პერიოდით მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა და ენგურჰესის წყალსაცავიდან წყლის დიდი რაოდენობით უქმი ღვრა.

აღნიშნული ხაზების მწყობრიდან გამოსვლით გამოწვეულმა საერთო ზარალმა და მათ აღდგენაზე დახარჯულმა სახსრებმა მილიარდობით მანეთი შეადგინა. მასობრივი და სისტემატური გახდა ელექტროსადგურებზე და ქვესადგურებზე შეიარაღებულ პირთა თავდასხმები ფერადი ლითონების მოტაცების მიზნით. გატაცებულია გენერატორების სტატორის სპილენძის გრაგნილები ქინვალჰესის, ვარციხჰესების და ვარდნილჰესების კასკადებიდან 19 ტონის ოდენობით, რომელიც გამიზნული იყო აღნიშნული ჰესების აგრეგატების რეკონსტრუქციისა და ახალი სიმძლავრეებისთვის. მაღალი ძაბვის ქვესადგურებიდან მოპარულია 36 ერთეული სხვადასხვა სიმძლავრის ტრანსფორმატორი. ცეცხლსასროლი იარაღით და სხვა მეთოდებით ჩამოწყვეტილია და მოპარულია ელექტროგადამცემი ხაზების სპილენძის სადენები საერთო სიგრძით 168 კმ; თავს დაესხნენ, დაარბიეს და გაქურდეს ქუთაისის ელექტროქსელისა და ფოთის ელექტრონაგებობათა სამმართველოს ადმინისტრაციული შენობები და ფიზიკური ძალა გამოიყენეს პერსონალის მიმართ. სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ფერადი ლითონების მოპოვების ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ამისთვის ისინი არაფერს ერიდებიან, ყოველგვარ ხერხს მიმართავენ. ძარცვავენ ძვირადღირებულ ელექტროდანადგარებს, მოწყობილობებს, მექანიზმებს, ელექტროგადამცემ ხაზებს, ყველაფერს, სადაც კი სპილენძის მოპოვება შეიძლება. ენერგომოწყობილობების მასობრივი დაზიანების და მაღალი ძაბვის ხაზების სადენების დატაცების შედეგად ენერგოსისტემაში და რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა ავარიული რეჟიმი. ამან შეიძლება უმძიმეს პირობებში ჩააყენოს რესპუბლიკის მოსახლეობის და მათი სოციალური უზრუნველყოფის — საავადმყოფოების, პურის ქარხნების, წყალსატუმბების, ელექტროტრანსპორტის და სხვადასხვა წარმოების ელექტროენერგიით მომარაგება.

რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონი, როგორიცაა წყალტუბოს, სამტრედიის, ჭიათურის რაიონები და ქალაქი ფოთი, შეიძლება სულ მალე უელექტროენერგიოდ დარჩეს, თუ არ აღიკვეთა ასეთი დანაშაულებრივი მოქმედება. რადგან ამ რაიონებში მასობრივად მწყობრიდანაა გამოყვანილი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები სპილენძის სადენების მოპარვის და დატაცების შედეგად.

დავიცვათ ხელყოფისაგან საქართველოს ენერგოსისტემა

დამუხტული ელექტროგადამცემი ხაზებიდან სადენების ჩამოხსნა არა მარტო გავლენას ახდენს რესპუბლიკის რეგიონების პასუხსაგები მომხმარებლების ელექტრომომარაგებაზე, არამედ სასიკვდილო საფრთხეს უქმნის პირადად სადენების ჩამომხსნელის სიცოცხლეს. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონში 110 კვ-ის ელექტროგადამცემი ხაზის ძაბვიანი სპილენძის სადენების ჩამოხსნისას სხეულის დამწვრობა მიიღეს გარეშე პირებმა. ანალოგიური შემთხვევა მოხდა სამტრედიის რაიონში.

ასეთი ფაქტები რესპუბლიკაში მრავლადაა და დღითი დღე მატულობს, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩვენი თანამშრომლები, ასევე სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს ღონობენ ზემოაღნიშნული შემთხვევების აღსაკვეთად, მაგრამ ჯერჯერობით განხორციელებული ღონისძიებები შედეგს არ იძლევა. ენერგეტიკული ობიექტების ძარცვა და აფეთქებები ამჟამადაც გრძელდება.

მიმდინარე წლის 30 აგვისტოს მენჯის 220 კვ-ის ქვესადგურში დაუდგენელმა პირებმა აფეთქება მოაწყვეს, რის შედეგადაც გაფუჭდა 63 მვა სიმძლავრის ავტოტრანსფორმატორი, ხოლო 2 სექტემბერს სოფელ ნოსირში წყალსადენის 35 კვ-ის ქვესადგურში 4 მვა სიმძლავრის ტრანსფორმატორი, რის შედეგადაც ქალაქ ფოთს შეუწყდა წყალმომარაგება. და ბოლოს, კვლავ განმეორდა დივერსიული აქტი ჩხოროწყუს რაიონში. დაუდგენელმა პირებმა ააფეთქეს 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „იმერეთის" ლითონის ანძა, რის შედეგადაც ენერგოსისტემისთვის და რესპუბლიკისთვის მიყენებული ყოველდღიური ათ-მილიონობით მანეთის ზარალს შეადგენს.

13 აგვისტოს სენაკის რაიონში ააფეთქეს 220 კვ-ის ელექტროგადამცემი ხაზი „პალიასტომი 1".

თუ ასეთი მოქმედება სასწრაფოდ არ შეწყდა, მოსალოდნელია ენერგომოწყობილობების მასობრივი განადგურება და ენერგეტიკის დარგის გაპარტახება, რაც სახელმწიფოს ეკონომიკურად გაანადგურებს.

რესპუბლიკაში არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისაგან მოითხოვს, რომ გავუფრთხილდეთ ეროვნულ ქონებას. ჩვენი დაუფიქრებელი მოქმედებით ნუ დავამძიმებთ ისედაც დამძიმებულ ცხოვრებას, გავახსოვდეს, რომ ძნელი ზამთარი გველის. ენერგეტიკისთვის მიყენებული ზარალი ბუმერანგივით უკან მოგვიბრუნდება, საფრთხეში ჩააგდებს საოპერაციო მაგიდაზე მყოფ ჩვენს ახლობელ ავადმყოფს, ვერ გამოცხვება პური, არ იქნება სასმელი წყალი, არ იმოძრავებს ტრანსპორტი, არ იქნება სინათლე და სითბო ჩვენს ოჯახებში.

ამიტომ, მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს: ნუ დარჩება გულგრილი ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, გამოვიყენოთ ზემოქმედების ყველა საშუალება, რათა აღიკვეთოს სახელმწიფოს და ქართველი ერის წინააღმდეგ გამიზნული უმძიმესი დანაშაული.

თეიმურაზ შონია,
საქმთავარენერგოს მთავარი ინჟინრის მოადგილე.

კიდევ ერთი აღიარება

დღეს, როცა საქართველოში უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებაა, როცა მწუხარება სიხარულზე მეტად მოგვძალებია, ყოველ სასიამოვნო ცნობას განსაკუთრებულად აღვიქვამთ. მით უფრო, თუ ამბავი ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ორბიტაზე წინსვლას ეხება.

ახლახან საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის სახელზე საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციიდან — ინტოსაიდან (რომლის შტაბ-ბინა ვენაშია) ოფიციალური ფაქსი მოვიდა. მისი გენერალური მდივანი, ავსტრიის რესპუბლიკის სანგარიშო პალატის პრეზიდენტი დოქტორი ფრანც ფიდლერი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს პროფესორ ავთანდილ სილაგაძეს ატყობინებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის კონტროლის პალატა ამ მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა (ინტოსაის წევრია 130-ზე მეტი ქვეყანა).

დიახ, წლეულს ოქტომბერში ამერიკის შეერთებულ შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში ინტოსაის მორიგ XIV კონგრესზე მსოფლიოს საკონტროლო ორგანოების წარმომადგენლების წინაშე საქართველოს კონტროლის პალატა წარსდგება, როგორც ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. ეს საქართველოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აღიარებაა.

აქვე გთავაზობთ დოქტორ ფრანც ფიდლერის მიერ ბატონ ავთანდილ სილაგაძის სახელზე გამოგზავნილ ფაქსის ტექსტს.

INTERNATIONALE ORGANISATION DER OBERSTEN RECHNUNGSKONTROLLBEHÖRDEN
INTERNATIONAL ORGANIZATION OF SUPREME AUDIT INSTITUTIONS • ORGANISATION INTERNATIONALE DES INSTITUTIONS SUPERIEURES DE CONTROLE DES FINANCES PUBLIQUES
ORGANIZACION INTERNACIONAL DE LAS ENTIDADES FISCALIZADORAS SUPERIORES

INTOSAI

GENERALSEKRETARIAT • GENERAL SECRETARIAT • SECRETARIAT GENERAL • SECRETARIA GENERAL

DER GENERALSEKRETÄR
DR. FRANZ FIEDLER
PRÄSIDENT DES RECHNUNGSHOFES

Republik Österreich
RECHNUNGSHOF

დიდად ძვირფასო ბატონო პროფესორო სილაგაძევ!

მადლობას გიხდით 1992 წლის 10 აგვისტოს გამოგზავნილი წერილისათვის, რომელშიც ერთმანეთს ემთხვევა ჩვენი ინტერესები საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ინტოსაი-ს წევრად გახდომასთან დაკავშირებით.

როგორც თქვენი წერილიდან შევიტყვეთ, თქვენ გაქვთ ყველა ის მონაცემი (ნიშანი) იმისათვის, რათა გახდეთ ინტოსაი-ს წევრი:

— 1992 წლის 31 ივლისიდან საქართველოს რესპუბლიკა არის გაეროს სრულუფლებიანი წევრი,

— საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა არის ძირითადი უმაღლესი საკონტროლო ორგანო ქვეყანაში,

— კონტროლის პალატის საქმიანობაში ერთ-ერთი უმთავრესი დამოუკიდებელი ადგილი უკავია ლიმის დეკლარაციას,

— გაქვთ შექმნილი ყველა ის ბაზისი, რაც საჭიროა ინტოსაი-ს წევრობისათვის.

მე ნებას მივცემ ჩემს თავს შემდგომში გაგაცნოთ ძირითადი საფუძვლები, რომელიც თქვენ საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას — როგორც ჩვენი ორგანიზაციის ახალ წევრს დაგეხმარებათ გათვითცნობიერდეთ ზოგიერთ საკითხში.

ვინაიდან თქვენ აკმაყოფილებთ ინტოსაი-ს დებულებას, ინტოსაი-ს პრეზიდიუმმა თქვენ დაგიშვათ ახალ წევრად.

ინტოსაი-ს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა იწყებს მუშაობას 1992 წლის 18 ოქტომბერს, თქვენ, როგორც ინტოსაი-ს სრულუფლებიან წევრს უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ინტოსაი-ს მე-14 კონგრესში, რომელიც ჩატარდება ვაშინგტონში ა. წ. 19 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე.

ინტოსაი-ს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, გერმანიის ფედერალური სანგარიშო პალატის პრეზიდენტს დოქტორ ჰაინც გუნთერ ცაველბერგს და აგრეთვე ვაშინგტონის კონგრესის სამდივნოს მივაწოდე ინფორმაცია თქვენს განაცხადთან დაკავშირებით.

ინტოსაი-ს გენერალური მდივანი და ავსტრიის სანგარიშო პალატის პრეზიდენტი მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს ვითანამშრომლო თქვენი ქვეყნის კონტროლის უმაღლეს ორგანოსთან.

მაღალი პატივისცემით
ფრანც ფიდლერი.

პარტიებსა და მოძრაობებში

„ქარტია—91"-ის ყრილობა

ქუთაისში ორ დღის მიმდინარეობდა პოლიტიკური ორგანიზაცია „ქარტია—91"-ის პირველი ყრილობა.

თავიდანვე ვიტყვით, რომ მან ძალზე საქმიან ვითარებაში ჩაიარა, მოისმინა ბევრი საჭირბოროტო საკითხი და მიიღო რიგი დოკუმენტებისა, რომელთა განხორციელება ალბათ სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ქვეყანას.

ბატონებმა თ. პაატაშვილმა, მ. ლობჟანიძემ, მ. კვანჭილაშვილმა, ჯ. ხუნდაძემ, ი. მელაშვილმა ისაუბრეს საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და „ქარტია—91"-ის ამოცანების, ამ ორგანიზაციის წინასაარჩევნო პლატფორმის, გამგეობის მიერ გაწეული მუშაობის, ჩვენში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, წინასაარჩევნო კამპანიის, პოლიტიკური ორგანიზაციის წესდების, ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შესახებ.

ყოფილი ხელისუფლების „მკვეთრად ეროვნული" პოლიტიკა — ითქვა ყრილობაზე, — კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა, საერთაშორისო სამართლის, სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობისა და ზოგადად ოპოზიციური აზრის იგნორირების გამო კრახით დასრულდა, ყოველივე ამას, სამწუხაროდ, უაღრესად საჭირო ზოგადეროვნულ თუ ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეათა დევალვაცია მოჰყვა. პარლამენტური გზით ამ ღირებულებათა დაცვა გაიხადა თავის მიზნად უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც მოგვიანებით გაერთიანდა „ქარტია—91"-ის სახელით. „ქარტია—91"-ს პრინციპები არც შემდგომ შეუცვლია. იგი თავის ფუნქციის დღესაც იმაში ხედავს, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში იმ ღირებულებების დამკვიდრებას, როგორიცაა: ქვეყნის დამოუკიდებლობა და სიძლიერე, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, პარლამენტარიზმი და დემოკრატია, აქტიური ჩარევა მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ორგანიზაცია ერთგულია პრინციპისა: სახელმწიფოს წინსვლის მთავარ მამოძრავებელ ძალად გადაიქცეს თავისუფალი ქვეყნის მშენებელი თავისუფალი ადამიანი.

ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები. „ქარტია—9-"-ის თავმჯდომარედ არჩეულია თედო პაატაშვილი, მოადგილედ მერაბ ურიდია. აირჩიეს აგრეთვე გამგეობის 11 წევრი.

დავით წერეთელი.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი, რომელიც საქართველოში თანდათან იკრებს ძალას, სრულიად გასაგები მიზეზების გამო დიდი დაინტერესებისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანია. სწორედ ამის დასტურია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომელიც კონსტიტუციურ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიმუშავა, და რომელიც ამავე პარტიის პრესსამსახურის თავმჯდომარის, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრის ზურაბ მურვანიძის ინტერვიუსთან ერთად ჩვენი გაზეთის 27 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა.

ამ პუბლიკაციის პასუხად ჩვენივე გაზეთის 4 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის ვალერიან ადვაძის სტატია „პოპულიზმი, დემაგოგია".

და სწორედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ პასუხის პასუხია წინამდებარე პუბლიკაციაც, რომლის ტონს, ცალკეულ შეფასებებსა და ზოგიერთ დასკვნას ზომაზედ მეტი პოლემიკური სიმძაფრე ახლავს.

ყველას თავისი აზრი აქვს

პასუხად ბატონ ვალერიან ადვაძეს

სანიტრებს საკაცით პაციენტს მორგისკენ მიაგორებდნენ. საწყალს თვალი გაეხილა და სანიტრებს შეევედრებოდა, იქნებ რეანიმაციაში გვესინჯა. ექიმმა ბრძანა, მორგში — დაუტუქსავთ პაციენტი და მორგისკენ გაუქანებიათ...

ეს ხევსურული ხუმრობა გამახსენდა, როდესაც „საქართველოს რესპუბლიკაში" (4 სექტემბერი, 1992 წ.) ბატონ ვ. ადვაძის წერილს ვკითხულობდი. მართლაც, როგორ შეიძლება ნეიროქირურგმა ასეთ გამოცდილ ეკონომისტს ჭკუა ასწავლოს. გამოგიტყდებით, არც მიფიქრია თქვენი ჭკუის სწავლება, მეტიც, მზად ვარ მადლობაც გადაგიხადოთ წერილის გამოქვეყნებისთვის.

სიცრუე, რომელიც თქვენ ჩემს ინტერვიუში აღმოაჩინეთ, უფილა ის, რომ სახელმწიფო საბჭოს ეკონომიკური რეფორმების კომისიას „ეკონომიკური კომისია" დავარქვი, რაზეც ბოდიშს გიხდით, თუმცა მე, ამ კომისიის წევრს, სხდომებზე რეფორმების შესახებ არა მსმენია რა. რასაკვირველია, სხდომებზე განიხილებოდა საკითხები, თუ რა და ვის „მივაპრივატიზოთ" — მივყიდოთ (მაგალითად, ჩაის და ღვინის საწარმოები), რისაც, გეხსომებათ, კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. ვთვლიდი, რომ უპირველეს ყოვლისა, ჯერ კანონი უნდა ყოფილიყო განხილული.

თქვენ ბრძანებთ, არაპროფესიონალებმა და დილეტანტებმა ჩვენი სამშობლო წაღუპეს. სავსებით გეთანხმებით, მაგრამ იმის კითხვა: რას ნიშნავს პროფესიონალიზმი? ალბათ, სპეციალურ განათლებას, გამრავლებულს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, პლუს უახლესი ინფორმაციის ფლობას. აქვე ვგულისხმობთ ანალიზის და სინთეზის უნარს. ასეთი პროფესიონალიზმი ყველა პროფესიას სჭირდება, ნეიროქირურგიასაც და ეკონომიკასაც. თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება, დაყრდნობილი იმდროინდელ განათლებაზე და ინფორმაციაზე კი ახალ ვერაფერს გვპირდება. ღმერთმა ქნას, მცდებოდე.

თქვენ ბრძანებთ, რომ ჩემი ინტერვიუ წინასაარჩევნო რეკლამაა, თუმცა რედაქცია ადასტურებს, რომ ჩვენი კანონპროექტი თებერვლიდან იყო მათთან. ბატონი რომან გოცირიძე სახელმწიფო საბჭოზე გამოსვლისას, რომელსაც თქვენც ესწრებოდით, გვაყვედრიდა: თქვენი კანონპროექტით ჯერ კომუნისტურ მმართველობას, მერე „მრგვალ მაგიდას", ახლა კი დროებით მთავრობას უწყალებთ გულსაო. რომელს დაგიჯეროთ, თქვენ, ბატონ რომანს, თუ ჭეშმარიტება ვაღიაროთ?

თქვენ გვაბრალებთ, ვითომ ჩვენ ცილისმწამებლურად გვიძახოდით, ფარული პრივატიზება ხდებაო, საქართველო იყიდება და ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავსო. შეგახსენებთ ბატონი ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის ფრაგმენტს ეკონომიკის საკითხებზე სახელმწიფო საბჭოს (თქვენც იქ ბრძანდებოდით) გაფართოებულ სხდომაზე: ჩვენთან თურქი ბიზნესმენი იყო, მან გვთხოვა თბილისში 12 მაღაზია მივეცით, რომ იქ საქონელი შემოეტანა, მაგრამ მაღაზიები ვერ აღმოვაჩინეთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მხოლოდ „გოლიათი" გაიყიდა, მაშ, თბილისში „გოლიათის" „მეტი მაღაზია არ ყოფილა?"

რა დავარქვათ ამას? გვატყუებენ თუ უბრალოდ საქმის კურსში არა ხართ?

თქვენ გვიკიჟინებთ, რომ ვიბრძოდით და კვლავაც ვაგრძელებთ ბრძოლას ჩვენი კანონპროექტის მისაღებად. შეგახსენებთ, ჩვენი კანონპროექტი თქვენთან არ განხილულა. თუ ბრძოლას ვაგრძელებთ, იმის იმედით, რომ მოსახლეობა გაერკვევა თქვენეულ პრივატიზებაში.

თქვენ ამას ბრძოლას უწოდებთ, ჩვენს სამსახურს. ჩვენ ვიბრძოდით, როცა თქვენ, პრეზიდენტობის კანდიდატს, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაგესხნენ. მაშინ ჩვენი პარტიის წევრები გიცავდნენ, მაგრამ არა პირადად თქვენ, არამედ — ადამიანის უფლებებს. ისინი თქვენს გვერდზე იყვნენ, რისთვისაც მათ თავიანთი დაუმტვრიეს (იხილეთ თქვენი ვიდეომასალა). ის ბრძოლა იყო, ეს კი მოსახლეობის ინტერესების დაცვაა, ნუთუ დასაძრახია?

მე არ ვეხები ეკონომიკურ პრობლემებს, ამაზე ქვემოთ გაგცემენ პასუხს, მე მხოლოდ მორალურ საკითხებს შევეხე. მორალი კი, ჩემი ღრმა რწმენით, ერთჯერადი შპრიცივით გამოსაყენებელი და გადასაგდები არ უნდა იყოს იმის მიხედვით თუ, რა მიზანი გვამოძრავებს.

ორი სანიტარი კი... საკაცით პაციენტს მორგისკენ მიაქანებდა...

პატივისცემით
ზურაბ მურვანიძე,
ნეიროქირურგი.

„ანიდან" „ჰამდე"

ა) სტატიის დასაწყისი აშკარად მრავლისმეტყველია და იშვიათი გულწრფელობით გამოირჩევა. პირველსავე აბზაცში ნათქვამია, ვითომც კონსტიტუციურ-დემოკრატებმა „მოისმინეს ბ-ნ თ. სიგუას საყვედური, რაც თითქოს მან უთხრა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე..."

როგორ თუ „თითქოს?" ბ-ნი ვალერიანი ამბობს ამას? თითქოს იქ, იმ სხდომაზე, პირველსავე რიგში თვითონ არ მჯდარიყოს.

ბ) „ხომ არ ნანობს ბ-ნი თ. სიგუა..."

ნუ შეწუხდებით ტყუილად, ბ-ნო ვალერიან! ბ-ნი თ. სიგუა ძალიან კარგად იცნობდა და, ალბათ ეყრდნობოდა კიდეც ჯერ კიდევ თავისი პირველი პრემიერ-მინისტრობის ჟამს მიღებულ პრივატიზების კანონს, ასე რომ, ის არაფერს არ ინანებდა კონსტიტუციურ-დემოკრატთა მიერ წამოდგენილ კანონთან მიმართებაში.

გ) „მთავრობისეული პროგრამა მოწონებულია..."

მაშ თქვენი პროგრამა მოწონებულია ეკონომიკური რეფორმების კომისიის მიმდინარე წლის 14 ივლისის სხდომაზე? კეთილი და პატიოსანი. ვთხოვთ კომისიის მდივანს, ბ-ნ ნ. გაჩეჩილაძეს, წარმოადგინოს ზემოაღნიშნული სხდომის ოქმი მოწონების შესახებ კენჭისყრის შედეგებითურთ.

დ) ბ-ნო ვალერიან! თქვენ აღიარებთ კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ძალასა და ძლიერებას. ღრმესი მადლობა ამისათვის. აკი ჩვენი „წყალობით" თქვენი პროგრამის განხილვას სახელმწიფო საბჭოს ორი სხდომა მიეძღვნა, მაგრამ გვინდა გითხრათ, რომ ჩვენი ძალა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს არგუმენტებშია.

ე) გამოთქმულია ეჭვი, თითქოს ტყუილია, რომ „ჩვენი კანონპროექტი ორ თვე-ნახევარს უმოძრაოდ ძევს საბჭოში". გვითხარით, მაშ რამდენ ხანს იყო იგი განუხილველი?

ვ) კონსტიტუციურ-დემოკრატიულმა პარტიამ პრივატიზაციის პროგრამის წინააღმდეგ „ნამდვილი ომი გააჩაღა და მისი მიღების შემდეგაც არ შეუწყვეტია".

დიახ! ჩვენ ომს გამოვუცხადებთ ყველაფერს ანტიხალხურს, ანტიქართულს, იქვე არ შეგეპაროთ ამაში. 97-კაციანმა სახელმწიფო საბჭომ თქვენი პროგრამის მოწონების შესახებ კენჭისყრა 42-კაციანი შემადგენლობით ჩაატარა (იხ. სხდომის ოქმი). პროტესტის ნიშნად ჩვენი წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში იმ დღიდან დემონსტრაციულად აღარ მონაწილეობს კენჭისყრაშიც. როგორ გვირჩევთ, შევურიგდეთ? არ ვიომოთ?

ზ) „წინანდელი ხელისუფლების ტრადიციების სრული შესაბამისობით მათ ქუჩაში დადგეს მაგიდა".

დიდი ბოდიში, მაგრამ მოდით, ვთქვათ სიმართლე. წინა ხელისუფლებაზე აპელირება ხომ სწორედ თქვენთვის საყვარელ საზელწოდებას, „დემაგოგიას" იმსახურებს. რატომ? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საგიტაციო მაგიდა ადრეც ხშირად გამოგვქონდა, მეორეც — იმიტომ, რომ სწორედ ტელევიზიის კარის დახშობამ გაგვიყვანა დღეს ქუჩაში. დიახ, გავედით ქუჩაში, რამეთუ აღარ შეიძლებოდა ტელევიზიიდან წამოსული ადვაძე-გოცირიძისეული სიცრუის ნიაღვრის ატანა, სიცრუისა, რომელიც მხოლოდ ხალხის მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანისთვის იყო განკუთვნილი.

დღესაც თვალწინ გვიდგას ტიპიური ტელეგადაცემა. პრივატიზების ორი „სპეციალისტი" სამკვდრო-სასიცოცხლო დებატებშია ჩაბმული. ერთი ამტკიცებს, რომ მთელი ქონება უნდა გაიყიდოს, მეორე წინააღმდეგია. მას სურს, რომ ყველაფერი იჯარა-გამოსყიდვით გაიცეს. მაყურებელი გაოგნებულია, გაყიდვა თუ ფარული პრივატიზება? აი, რატომ არის, რომ დღეს საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არც კი იცის ხეირიანად, თუ რა არის სახელმწიფო ქონების პრივატიზება. აი, ვისი დამსახურებაა ეს! ვიმეორებთ, ადვაძე-გოცირიძე და ტელეკომპანია, აზრს რომ ურევენ მოსახლეობას. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართული ხალხი აღარ დაჰყვება თქვენნაირი ოფიციალური დემაგოგების ნებას, ის უკვე ხედავს, თითქმის ყველაფერს ხედავს.

რაც შეეხება ტოტალურ აგიტაციას, სადარბაზოებში სიარულსა და სხვას, ამის შეხსენებისთვის ნამდვილად გმადლობთ, აუცილებლად გამოვიყენებთ თქვენი ნებართვით.

თ) „გაზეთები აქვეყნებდნენ... ცილისმწამებლურ დადგენილებებს: „შეწყვიტოს მთავრობამ ფარული პრივატიზების ხელშეწყობაო".

როგორ ფიქრობთ, ბ-ნო ვალერიან! არ უნდა შეწყდეს ფარული პრივატიზება? თქვენ კი პირიქით, მისი სრული დაკანონება მოინდომეთ. სირცხვილია, საკუთარი ხალხის ხარჯზე პირადი მიზნების აგება.

ანუ მართლაც ვთქვათ სათქმელი

თქვენს პროგრამაში დატოვეთ პუნქტი: „საიჯარო ქონების გამოსყიდვა". განა არ უწყოდით, რა უბედურება მოუტანა საბჭოთა კავშირის დატოვებულმა ამ კანონმა ქვეყნის ეკონომიკას? ვინ, ვინ და თქვენ, სოციალისტური ეკონომიკის მთავარმა გამტარებელმა რესპუბლიკაში, კაცმა, რომელიც სულ იმის მტკიცებაში იყო, საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიაო, ეს ყველაზე კარგად უნდა იცოდეს. იჯარა-გამოსყიდვა — ეს ხომ წარმოების შემცირება-მოსპობის სტიმულია, რათა ვიღაცამ ქონება პრაქტიკულად მუქთად ჩაიგდოს ხელში საბალანსო ღირებულებაზე უფრო იაფად, ამორტიზაციის, ცვეთის, ზარალიანობის გათვალისწინებით.

რა დაინტერესება გაქვთ ბ-ნო ვალერიან?! გულახდილად გვითხარით და იქნებ ჩვენც მიგიხვდეთ?

ი) „წინასაარჩევნო კამპანიის საგიტაციო ლოზუნგი".

როგორც ნახეთ, ჩვენი კანონპროექტი რედაქციაში ჯერ კიდევ თებერვალშია წარდგენილი, ხოლო თუ რ. გოცირიძის სახელმწიფო საბჭოში გამოსვლას დავუჯერებთ (იხ. 11 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს სხდომის ოქმი), „ეს აზრი უკვე სამი წელია აკვიატებული" გვაქვს.

მაშასადამე, ბოლო სამი წელი ამ საქმეს ვემსახურებით და დემაგოგია თუ გნებავთ, ეს შეიძლება იყოს, რამეთუ ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯი წინასაარჩევნო კამპანიად შეუძლია ჩაგვითვალოს მავანმა და მავანმა. ნათქვამია: „მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო".

კ) „დემაგოგიური განცხადება: „70 წლის მანძილზე ართმევდნენ... შემოსავლის წყაროს 90 პროცენტს".

უარყოფთ თქვენ, ბატონო ვალერიან, რომ არათუ ხელფასის, გამომუშავების უდიდეს ნაწილს, არამედ ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა, მოსახლეობას ართმევდნენ? უკაცრავად, ართმევდით, რამეთუ თქვენ, მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება ამ წართმევის და ყველაფრის მეცნიერულად დამაბუთებელი ბრძანდებოდით. თუმცაღა დღეს... ხომ გაგიგონიათ იგივე მელიისა, ფერმის გამგედ რომ დანიშნეს!

ლ) „ქადაგებთ... კომუნისტურ პრინციპს".

როგორც კომუნისტური და სოციალისტური ეკონომიკის აღიარებულმა სპეციალისტმა, საკუთარი ავტორიტეტით გსურთ დაგვაბრალოთ კომუნისტური პრინციპი.

გვიპასუხეთ, კაცი, რომელსაც მოპარეს, წაართვეს ავტომობილი და რომელიც ცდილობს მის დაბრუნებას, ქურდია, ყაჩაღია? არც ერთია და არც მეორე, აქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ის, რაც ხალხს წაართვეს 70 წლის განმავლობაში ძალით, მან უნდა დაიბრუნოს, და მეტი არაფერი. მაგრამ რა გაეწყობა, თქვენ თანახმა არა ხართ.

მ) „დემაგოგია ამორალურია".

ის მაინც გვითხარით, რას ემსახურება თქვენი განცხადება გაზეთ „თბილისში", როდესაც უცხოელ მეიდევლებს საქართველოს ქონების გაყიდვაზე ეპატიჟებით. როგორ ფიქრობთ, აფხაზეთში უმძიმესი დღეების ფონზე ეს მორალურ ქმედებად ჩაგეთვლებათ?

ნ) თქვენ თვლით, რომ ჩვენ კანონი პროგრამაში ავურიეთ. გვითხარით, გეთაყვა, რას ნიშნავს სიამაყით გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ თქვენ თურმე გასული წლის 9 აგვისტოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონს ეყრდნობოდით, ხოლო 3 სექტემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში" ცხადდება, რომ მზად არის დეკრეტი ამ კანონში ცვლილებების შესატანად.

როგორ გავიგოთ, შესაბამისად, თქვენს პროგრამაშიც შეიტანთ ცვლილებებს, თუ პროგრამა სხვაა, კანონი — სხვა, და როგორც მოგეპრიანებათ, ისე გააკეთებთ? ნუთუ თქვენთვის მართლაც აღარ არსებობს არც წესი და აღარც კანონი? თუ 9 აგვისტოს კანონს შეცვლა ეწერა, ხომ ჯერ ეს უნდა გაგეკეთებინათ და შემდეგ იმ ცვლილებების გათვალისწინებით შეგექმნათ პროგრამა? ამაზე მაინც მოველით პასუხს ბატონების ადვაძისა და გოცირიძისგან.

ო) 9 აგვისტოს კანონის „განხორციელებისათვის შევადგინეთ პრივატიზაციის მთავრობისეული პროგრამა".

მართლაც, ამ სამიოდე თვის წინ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოში წარმოდგენილი იქნა პროგრამის პროექტი, რომელიც იმდენად დაუფიქრებლად იყო გადმოწერილი რუსული პროექტიდან, რომ „ალმასის ფონდსაც" კი ითვალისწინებდით. გახსოვთ, რა სამარცხვინოდ ჩაფლავდა ის პროექტი იქ, ისიც გემახსოვრებათ, მრავალრიცხოვანი წინადადებებისა და შესწორებების გათვალისწინებით პროექტი უნდა გამოქვეყნებულიყო საერთო-სახალხო განხილვისათვის (იხ. საქართველოს რადიოს ჩანაწერი). თქვენ პროექტი მაინც არ გამოაქვეყნეთ, ხალხს საგულდაგულოდ დაუმალეთ. რა მიზნით? რატომ?

პ) თქვენ შეგნებულად აკნინებთ პრინციპულ განსხვავებას თქვენს პროგრამასა და ჩვენს კანონპროექტს შორის. ჩვეული უანგარობით ამტკიცებთ, თითქოს სერტიფიკატებით ქონების გაცემის პროცენტშია განსხვავება მხოლოდ. სამწუხაროა, თუმცა ეჭვიც არ გვეპარება, რომ ეკონომისტს, თუნდაც საბჭოთას, ეს გამოგპარვოდათ.

კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური კომისია
კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის პრესსამსახური.

(დასასრული იქნება)

წერილები თურქეთიდან

თურქეთში მცხოვრებ აფხაზთა გულისთქმა

ამ დღეებში რედაქციამ თურქეთის ქალაქებიდან — სტამბოლიდან და ადაფაზარიდან მიიღო იქაურ აფხაზური და ქართული წარმოშობის მოქალაქეთა რამდენიმე წერილი ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი, რომლებშიც ისინი ღრმა პატივისცემითა და იმედით მიმართავენ გამოჩენილ დიპლომატსა და პოლიტიკოსს.

ამ წერილების ავტორთა საერთო წინაპარი გახლავთ აფხაზეთში, თურქეთსა და კავკასიის მთიელ ხალხში ცნობილი პიროვნება, გენერალი კაც მაანი (მარღანია). მისი დაი იყო უბიხების მთავრის — ხაჯი ბერზეგ კერანტუხის მეუღლე. კაც მაანის ერთ-ერთი ვაჟიშვილის, თურქეთის ჯარების მხედართმთავრის ჰამდათის ქალიშვილის ნაზიფა ცოლად ჰყოლია თურქეთის სულთანს აბდულ ჰამიდს.

საქინფორმი გთავაზობთ ბატონ ედუარდ შევარდნაძისადმი თურქეთიდან გამოგზავნილი წერილებისა და მათი ქართული თარგმანების ფოტოპირებს. წერილებში გადმოცემულია თურქეთში მცხოვრებ აფხაზთა, უბიხთა და ქართველთა გულისთქმა, რომელსაც თავად გაეცნობიან მკითხველები ქართულ თარგმანში.

პირველ ფოტოზე აღბეჭდილი არიან თურქეთში მცხოვრებ კაც მაანის შთამომავლები.



ბატონო ედუარდ!

პატივისცემით
ფუათ მაანი, ლუთფიე ბერქი, რესმიე ჰაჯალი, იშიკ მაანი (იშჯანი), იშილ მაანი, მუმთაზ ბერქი (მაანი), ჰასან ოკანი (იშჯანი), ფიქრეთ შაჰინი (ლაქირბა), ილდირიმ ათაი (ათაია).
სტამბოლი.
1992 წლის 10 სექტემბერი.

Bu fotoğrafta görülen Kats Maan'ın (General) evlatları 88 yaşındaki Fuat Maan'ın kendisi, ailesiyle beraberdir.
Biz diyoruz ki Abhaz ve Gürcü kardeşlerimize tatlı arkadaşlık yanı sıra aynı toprağın insanlarıyız.
Aramızda sorun olacak bir şey yok.
Biz büyük bir umutla bakıyoruz ki Dünya'nın en büyük diplomat ve politikacısı sayın Edvard Şevardnadze'nin herkesin Abhaz Milletinin ilerlemesi, gelişmesi için Gürcü ve Abhaz kardeşliğinde olduğu için, her şeyi yapacağını umuyoruz.
Sevincimiz sonsuzdur, dün ikinci defa bana akrabam olan Kats Maan'ın torunlarından Gürcistan'dan Leonid Kikodze kendi arkadaşlarıyla beni ziyaret ettiler.

FUAT MAAN
LÜTFİYE BERK
RESMİYE HACALİ
IŞIK MAAN (İŞCAN)
IŞIL MAAN
MÜMTAZ BERK (MAAN)
HASAN OKAN İŞCAN
FİKRET ŞAHİN (LAKIRBA)
YILDIRIM ATAY (ATAYA)
İSTANBUL
10.9.1992 September



Sayın Edvard
Ben Gürcü'yüm Batum çevresinden
oradaki Kapraniçe Ertan
Babam Abaza Dayımlar Abaza
Bizler Abaza ve Gürcüler Bir arada
Yetiştiler onların yurtu Bizler uzak
yurtumuzda Savaş istemiyoruz
Bizler Burada Apaza ve gürcüler
Birlikte yaşıyoruz
Büyük gürcüstan Başbakanının
Burada yaşayan gürcü ve Apaza toplumunu
bölmeden kardeşçe yaşadığımız gibi
oradakilerinde öyle olduğunu ve olacağına
inanıyoruz
Siz Büyük Politikacı ve diplomat
siniz herşeyi yaparsınız Apaza ve gürcül
lerin iyi olması dileğimle iyi yaşamlar
Adapazarı Kapraniçe Ertan 12.9.1992

პატივცემულო ედუარდ!

ერთან გოფრონიძე,
ადაფაზარი.
1992 წლის 12 სექტემბერი.

პატივცემულო ედუარდ შევარდნაძე!

პატივისცემით —
ა. შაჰინი.
ადაფაზარი.
1992 წლის 12 სექტემბერი.

ფესტივალი

ქართული კინოს ფესტივალი
19-26 სექტემბერი

გვამხნევებს „ოქროს არწივი“

გიორგი ლალიაშვილი

ღირსახსოვარი ფაქტის მოწმე გახდა 19 სექტემბერს ქართველი საზოგადოებრიობა — დაფუძნდა კინოფესტივალი „ოქროს არწივი“. ფესტივალის საზეიმო გახსნას ფილარმონიის დიდი დარბაზი დაეთმო, კარგა ხანია აქ ამდენ ხალხს არ მოუყრია თავი, ხალხი გულწრფელად მიეგება „ოქროს არწივის“ დაბადებას.

საზეიმო გახსნა ეფექტურად დაიწყო, ფილარმონიის სცენა ქართული კინოს ვარსკვლავებმა შეავსეს და საოცარი სინათლე შემოიტანეს...

ბატონმა რევაზ ჩხეიძემ მაყურებელს წარუდგინა ფესტივალის ჟიური, რომელიც ასე გამოიყურება: ოთარ მეღვინეთუხუცესი, კობა იმედაშვილი, კარენ გეორქიანი (სომხეთიდან), მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, ნათელა ლორთქიფანიძე (მოსკოვიდან), ლევან პაატაშვილი, მიხეილ კობახიძე, გოგი დოლიძე, დათო ტურაშვილი.

დათო ტურაშვილმა სიტყვითაც მიმართა დარბაზს, აი ერთი ფრაგმენტი მისი გამოსვლიდან: „საქართველოს ისტორიის თანამდევი ომი ხშირად ყოფილა, საქართველო ახლაც ომშია, მაგრამ ეს ფესტივალი მაინც ტარდება, თუნდაც იმიტომ უნდა ჩატარდეს იგი, რომ მთელ მსოფლიოს დავანახოთ — შეუძლებელია, არ მოხდება ხელოვნის სულის ჩაკვლა!“

საზეიმო საღამოს უშუალობითა და გულწრფელობით წარუძღვა ბატონი გოგი ქავთარაძე. მაყურებლისთვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა კოლაჟი ქართული კინონაწარმოებებიდან, ისინი ტაშით ხვდებოდნენ ქართველი მსახიობების ცნობილ ეკრანულ სახეებს. ეროვნული კინოს მოზაიკაზე მაყურებლის რეაქციამ საბოლოოდ გაფანტა დაეჭვება ფესტივალის გამართვის მიზანშეწონილობის შესახებ. ქართული კინოს ოთხმოცწლოვან მთლიანობაზე უბრალო თვალის მიდევნებამაც კი საჩინო გახადა, თუ რა განძის მფლობელები ვართ. ასეთი ხელოვნების პატრონ ერს ასე იოლად ვერავინ დააჩოქებს. ჩვენი სულის ძალა თითქოს გააათკეცა ეკრანიდან გადმოსულმა კინოკადრებმა.

სასიამოვნო იყო გივი ბერიკაშვილის პლასტიკური იმპროვიზაცია ბუბა კიკაბიძის ცნობილი სიმღერისათვის „მეფაიტონე“.

ასევე დიდი სიამოვნება მიანიჭა საზოგადოებრიობას ნანი ბრეგვაძისა და სოფიკო ჭიაურელის გამოსვლამ, როცა მათ ფილმის გახმოვანების „საიდუმლო“ გაგვანდეს...

ფესტივალის გახსნა ზეიმს გულისხმობს, ზეიმი ამჯერადაც შედგა, მაგრამ...

თავისთავად მშვენიერმა ხერხმა — კინოკოლაჟმა (არ ვიცით რა პრინციპით იყო შერჩეული აქ კადრები), ბევრი უხერხულობა შექმნა... როგორ შეიძლება ქართული კინოს წარმოდგენა მედეა ჯაფარიძის ან ლეილა აბაშიძის ეკრანული ხატების გარეშე?

ანდა, სცენაზე ხალხის უსაყვარლესი მსახიობები იდგნენ და მათი პერსონა არავის წარუდგენია სახელობით, ისინი ბუტაფორიად აქციეს!..

„ოქროს არწივი“ — ეს ულამაზესი პრიზი ვიწრო წრემ კი ნახა პრეზენტაციაზე, მაგრამ რას წარმოადგენს იგი არ იცის ხალხმა, განა რაღაცნაირად არ უნდა წარმოეჩინათ „ოქროს არწივი“?!

ყველა დამეთანხმება, რომ საზეიმო გახსნას ღარიბი დრამატურგია ჰქონდა, თორემ ნომრები, რომლებიც წარმოადგინეს, თავისთავად გემოვნებით იყო შესრულებული.

ამ შენიშვნებს მხოლოდ კეთილი სურვილით ვამბობთ, რათა მომავალში ფესტივალის გახსნაც ქართული კინოს მაღალი ავტორიტეტის სადარი იყოს.

საზეიმო გახსნის შემდეგ უჩვენეს ცნობილი სცენარისტისა და კინორეჟისორის ირაკლი კვირიკაძის ფილმი „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“, თავშესაქცევად ნამდვილად ღირს მისი ნახვა, მაგრამ „მოცურავეს“ ავტორისაგან უფრო მეტს ველოდით (ფილმი არასაკონკურსოა).

ფესტივალის პირველ დღეს მაყურებელმა კინოთეატრ „ამირანში“ ნახა ახალგაზრდა რეჟისორის ლევან კიტიას „გზაჯვარედინი“, დავით ურუშაძის „მერცხლები და ბეღურები“, თემურ ცავას — „მიწის კალენდარი“, გოდერძი ჩოხელის „ცოდვის შვილები“.

ოთხივე ფილმი მრავალმხრივ არის საინტერესო, მათგან გოდერძი ჩოხელის ფილმი („ცოდვის შვილებმა“ შარშან მონტე-კარლოს ფესტივალზე „ვერცხლის ნიმფა“ და საერთაშორისო ეკლესიის პრიზი მიიღო, შარშანვე იაპონიაში, ხიროსიმას საერთაშორისო ფესტივალზე მეორე პრიზი დაიმსახურა). დღეს განსაკუთრებით აქტიურად ჟღერს, გლობალური მასშტაბი შესძინა მას ჩვენში დატრიალებულმა უკანასკნელმა მოვლენებმა. ეს ფილმი თითქოს წინასწარმეტყველებაა და განაჩენიც, თუკი ადამიანები სიავეს ვერ დაამარცხებენ საკუთარ თავში.

საფესტივალო ფილმების ჩვენება გრძელდება... 26 სექტემბერს, საზეიმო დახურვაზე გამოვლინდებიან გამარჯვებულნი.

• • •

სურათზე: ფესტივალის აფიშა; ფესტივალის საზეიმო გახსნაზე.

სიმონ კილაძის და ჯავარ ლომაძის ფოტო

ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ

გიორგი ფერაძე

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით ამ სამიოდე თვის წინათ შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული საბჭო შეიქმნა, რომელსაც ორ-ორი თვით უხელმძღვანელებენ შემოქმედებითი კავშირების ლიდერები. სექტემბერ-ოქტომბერში ამ საბჭოს თავმჯდომარეა ბატონი გურამ ფანჯიკიძე. ამ დღეებში ისევ მწერალთა კავშირის თაოსნობით მწერალთა სახლში მოეწყო შეხვედრა ქართული თეატრის მოღვაწეებთან. იგი მიეძღვნა თეატრისა და მწერლობის ურთიერთობას.

ოცი წლის წინათ ნოდარ დუმბაძე წერდა: „ქართული დრამატურგია საგრძნობლად ჩამორჩება ქართული პროზის და არა მარტო ქართული პროზის, არამედ ლიტერატურის საერთო დონეს და, რაც ყველაზე უფრო სავალალოა, საგრძნობლად ჩამორჩება ჩვენი თეატრალური კულტურის დონეს. ეს უკვე ისეთი ტრაგედიაა, რომ ამის ყურებას ჩვენ კი არა, თვით რეჟისორები და მსახიობებიც ვერ უძლებენ და უკანმოუხედავად გარბიან თეატრიდან კინოში, ტელევიზიაში, რადიოსა და ესტრადაზე, ესე როგორც ჩასაძირავად განწირული გემიდან“.

ოცი წლის შემდეგ ქართული დრამატურგია ისევ ჩასაძირავად განწირულ გემს ჰგავს, აკი ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ ბრძანა კიდეც — ჩვენ ახლა თავს ვიტყუებთ, რომ გვაქვს ქართული თეატრი — ეს არის მხოლოდ თეატრი ქართულ ენაზე. მანვე კრიტიკულად შენიშნა, რომ თეატრში გამეფებულია ლიტერატურული მასალისადმი უპატივცემულობა, ისაუბრა იმაზე, რომ წინათ პიესები მწერალთა კავშირში იკითხებოდა, მას დასადგმელად ვიზას ქართული მწერლობა აძლევდა, ახლა კი რა ხდება — დავიწყებას მიეცა მეგობრობა მწერლებსა და თეატრს შორის. მწერლები არ დადიან თეატრში, არ იციან რა უჭირს მას...

გურანდა გაბუნიამაც გულისტკივილით ილაპარაკა იმ გულგრილობაზე, რომელსაც ქართული მწერლობა იჩენს თეატრის მიმართ, მან ყურადღება გაამახვილა კონკრეტულ ფაქტზე — როცა ქართულ თეატრში მოვიდა ნიჭიერი დრამატურგი ლალი როსება, ჩვენ კი სათანადოდ ვერ თუ არ დავაფასეთ იგი. მარჯანიშვილის პრემია არ მივეცით, წარდგენილი კი იყო...

თეატრის და მწერლობის ურთიერთობის პრობლემებზე ისაუბრეს: სანდრო მრევლიშვილმა, დოდო ჭიჭინაძემ, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, მედეა კუჭუხიძემ, გურამ გვერდწითელმა, თამაზ ჭილაძემ, გიგლა ხუხაშვილმა, აკაკი გეწაძემ, დათო მაღრაძემ, ოთარ ჭელიძემ, კობა იმედაშვილმა, ირაკლი ბაზაძემ.

უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო ბატონი **თამაზ ჭილაძე**, მან თქვა: — „მეჩვენება, რომ ჩვენი საქმე არავის აინტერესებს, ჩვენზე არავინ ზრუნავს, მას შემდეგ, რაც ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტი შეიქმნა, რაც გამოქვეყნდა ედუარდ შევარდნაძის შესანიშნავი წერილი „გადავარჩინოთ ქართული კულტურა“, საქმე უფრო ცუდად წავიდა, მიჩნდება ეჭვი, რომ ბატონ ედუარდს უწყობენ ბლოკადას, უფრო მეტიც, სახელმწიფო საბჭო უარყოფს კულტურას! ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ვინ არიან ქართული კულტურის გადარჩენის კომიტეტის წევრები. ჯობია მათ დაუჯერონ ქართულ მწერლობას, იგი ყოველთვის გონივრულ რჩევებს იძლეოდა ხოლმე“...

ცხადია, ერთი შეხვედრა გადატრიალებას ვერ მოახდენს, მაგრამ მისი კეთილი ნაყოფი უკვე გამოჩნდა და სასიკეთოდ წაადგება მომავალში ქართული თეატრის წინსვლის საქმეს.

აკაკი გეწაძემ წამოაყენა წინადადება, რომ დრამატურგიაში დაწესდეს ქართული დრამატურგიის კლასიკოსის პოლიკარპე კაკაბაძის პრემია.

მედეა კუჭუხიძე: „მე არ ვიცი, რა ურთიერთობა უნდა დამყარდეს მწერლობასა და თეატრს შორის, აქ მზა რეცეპტები არ არსებობს, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, ყველაფერი ადამიანური ურთიერთობებიდან იწყება, ნუ ჩავიკეტებით, ჩვენ უნდა ვიმეგობროთ, ვითანამშრომლოთ“.

ოთარ ჭელიძე: პირადი კონტაქტებია აუცილებელი, საჭიროა მეტი შეხვედრები, დაახლოება. მხოლოდ ამ პირობებში დაიბადება რაღაც ახალი, გამოიკვეთება ორმხრივი ინტერესები — რა სჭირდება თეატრს, რეჟისორს, მაყურებელს, ხომ იწერებოდა და იწერება პიესები საგანგებოდ ამა თუ იმ მსახიობისათვის, რეჟისორისათვის, თეატრისათვის. აუცილებლად მიმაჩნია შეიქმნას ელიტარული კლუბი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან მწერლები და თეატრალები.

შეხვედრამ მწერალთა სასახლეში, ერთხელ კიდევ გამოკვეთა, რომ დღეს თითზე ჩამოსათვლელია პროფესიონალი დრამატურგი, უმეტესობა მოცალეობის ჟამს წერს პიესას, დრამატურგის შრომა უფრო მეტად რომ ფასდებოდეს, შეიძლება ასე სავალალოდ არ ყოფილიყო საქმე....

გავრცელებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

იზრდებიან ჩვენს იმედად

ახლახან მოსწავლეახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“ (ხელმძღვანელები— ნუნუ ღვინერია და ჯემალ რეხვიაშვილი) თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. იგი თურქეთის რევოლუციის 69-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში იღებდა მონაწილეობას.

ანსამბლი თბილისიდან ქალაქ კასტამონუში გაემგზავრა და ჩასვლის უმალ ჩაება კონცერტებში, რომლებიც ქალაქსა და მის გარეუბნებში გაიმართა.

სითბო, სიყვარული და ოვაციების შეძახილები თან სდევდა გოგო-ბიჭების გამოსვლებს.

ჩვენი მოცეკვავეების წარმატებებზე მეტყველებს ისიც, რომ ანსამბლ „იმედს“ კონცერტები ორი დღით გაუგრძელეს. შემდეგ ჩვენი მოცეკვავეები ქალაქის მერიაში მიიწვიეს და საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს.

უნდა ითქვას, რომ „იმედისათვის“ ახალი ხილი არ არის საზღვარგარეთ საგასტროლოდ გამგზავრება. მათ უკვე მოასწრეს წარმატებით მოევლოთ მრავალი ქვეყანა. თურქეთს კი მეორედ ეწვია „იმედი“. როგორც მათმა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა სწორედ ამ ქვეყანაში წასვლისას უჩნდებათ. ხუმრობა ხომ არ არის — აქ ჩვენ თანამემამულეებთანაც უწევთ შეხვედრა. მათ თვალზე მომდგარი ცრემლი კი ბევრს ავალებს ნორჩ მოცეკვავეებს.

ისღა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ ანსამბლ „იმედის“ წევრებს, რომლებიც სწორედ რომ ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი კულტურის იმედად იზრდებიან.

ვაჟა ნიჟარაძე

პროდუქტები საზამთროდ

პროდუქტების საზამთროდ მომარაგება დაიწყო ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატმა. პირველად აქ მოიტანეს მარნეულის რაიონის მეხახვეთა მიერ მოყვანილი მოსავალი. ხახვის ხარისხი დამაკმაყოფილებელია. კომბინატის დირექტორმა ჯემალ აკობიძემ, რომელმაც ეს გვითხრა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ, თუმცა სექტემბრის შუა რიცხვებისათვის სულ 700 ტონა ხახვია შემოტანილი, მაგრამ საზამთროდ მისი საკმარისი მარაგი იქნებათ. ხახვს ისევ მარნეულის რაიონიდან, აგრეთვე ბოლნისის რაიონიდან, ქართლის რაიონებიდან მიიღებენ. ამასთანავე უზბეკეთიდან უნდა შემოვიდეს დაახლოებით 10 ათასი ტონა ხახვი.

როგორც მან თქვა, შეშფოთებას იწვევს საგვიანო კარტოფილის შენახვა. ჯერჯერობით გადაუწყვეტელია ბევრი საკითხი, მათ შორის მოიხარე მეკარტოფილეთა შრომის ანაზღაურების, მოსავლის დამზადების, სათბობით მომარაგებისა და კომბინატში კონდიციური კარტოფილის დროულ მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. ბოლომდე არ არის გარკვეული ბელარუსეთიდან და პოლონეთიდან კარტოფილის მიღების შესაძლებლობა. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მოიხსნას ეს და სხვა პრობლემები კარტოფილის დაბინავების ოპტიმალური ვადების დადგომამდე, რომელსაც უპირატესად ახალქალაქისა და ახალციხის რაიონების მეურნეობებისაგან იღებენ. ამ პროდუქციის ძირითადი შემოტანა დაიწყება ოქტომბერში. კომბინატი საზამთროდ აპირებს მომარაგოს 25 ათასი ტონა კარტოფილი.

ვალერიან ბაბუაძე.

სიღნაღის ამბები

„წნორის დისნეილენდი“

გაუგონია, წაუკითხავს ვინმეს — მილიონობით მანეთი ქონების პატრონი და ასოციაციის პრეზიდენტი იყოს კაცი, რომელსაც საცხოვრებელი სახლი არა აქვს? მე ვიცნობ ასეთ კაცს. იგი გახლავთ საქართველოს ტაილანდური კრივის ასოციაციის „ათლეტის“ პრეზიდენტი, სპორტის ოსტატი ნოდარ კუტიბაშვილი. მაშ სად ცხოვრობსო, იკითხავთ. გეტყვით — იგი თავისი და მამის აშენებული სპორტული კომპლექსის „ათლეტის“ ახლოს — სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს (მშობლების ბინაში, მათთან ერთად ძმის ოჯახი დარჩა).

და აი, ასეთმა კაცმა უზარმაზარი საქმე წამოიწყო ქალაქ წნორში, ზოოვეტერინარული სასწავლებლის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფოსა და ოჯახის დახმარებით ააშენა ჩინებული სპორტული კომპლექსი.

„წნორის დისნეილენდს“ უწოდებენ სპორტკომპლექს „ათლეტს“ რომელსაც აქვს ოფისი, კომპლექსური სავარჯიშო დარბაზი — ტრენაჟორები, გასახდელები. საშხაპეები, საუნა, ოცდახუთმეტრიანი ჩინებული საცურაო აუზი (ზამთარსა და გაზაფხულზე წყალი თბება). აქ არის ვიდეობარი, ტირი, კეგების ბლოკი, სათამაშო-გასართობი, კომპიუტერული ავტომატური დანადგარებით გამართული დარბაზები, საბილიარდო, მაგიდის ჩოგბურთის დახურული მოედანი, ატრაქციონის მთელი კომპლექსი, რომელიც ბავშვთა დიდებულ გასართობად ითვლება.

„ათლეტი“ განსაკუთრებით ხალხმრავალია ნაშუადღევს და საღამოობით, როცა ლამპიონებითა და ნაირფერი ილუმინაციით გაჩირაღდნებულ კომპლექსში უკრავს მუსიკა და რომ იტყვიან — ცხოვრება დუღს.

და ბოლოს, დავძენთ: ამ კომპლექსის (მილიონნახევარზე მეტად ღირებული), პატრონს, ასოციაციის პრეზიდენტს არც ავტომანქანა აქვს, მაგრამ ამბობენ — მალე, ალბათ, იქნებაო. სახელმწიფო სესხი დაფარულია. 20-23 აგვისტოს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება დიდი საერთაშორისო ტურნირი ტაილანდურ კრივში, რომლის ორგანიზატორია წნორის სპორტკომპლექსი და ტაილანდური კრივის ასოციაცია „ათლეტი“, გენერალური სპონსორი ასოციაცია „ერქვანი“.

აქვე დავძენთ, ტაილანდური კრივის შემსწავლელი ფილიალი „ათლეტმა“ დიდოფლისწყაროშიც აამოქმედა.

ფირმა „ქიზიყი“

ამოქმედდა მევენახეობის სამრეწველო კომერციული ფირმა „ქიზიყი“. მისმა გენერალურმა დირექტორმა, მეცნიერებათა კანდიდატმა ვაჟა მამაიაშვილმა თქვა, რომ ფირმის ძირითადი საზრუნავია, კახურმა ღვინომ, კონიაკმა, არაყმა კიდევ უფრო გაუთქვას სახელი საქართველოს ზღვარ-მარანს. ამასთან, გაჭირვებულ საქართველოს ეკონომიკასაც ხელი მოუმართოს გაჯანსაღებაში.

ფირმა „ქიზიყმა“ შარშანდელი ყურძნით დაამზადა 60 ათას დეკალიტრამდე შემაგრებული სამარკო ღვინო „კარდენახი“, 87 ათასი — საერო ღვინო „ტარიბანა“, 11 ათასი — ტკბილი შემაგრებული ღვინო, 20 ათასი — სამარკო „ტიბაანი“, 76 ათასი — „კახეთი“ 30 ათასი — „ვაზისუბანი“, 53 ათასი დეკალიტრი საკონიაკე მასალა და სხვა. წლეულს აქ უფრო მეტსა და უკეთეს სასმელებს დააყენებენ. შემოდგომაზე ფირმა აწყობს დეგუსტაცია-კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ კუთხის საწარმოები.

ვახტანგ გოზალიშვილი.

რეკლამა ● განცხადება

რუსეთის ცენტრალური ბანკის ცნობა

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი იუწყება, რომ 1992 წლის 18 სექტემბრიდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი, რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ:

1 ავსტრალიური დოლარი	149 მან. 80 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	19 მან. 66 კაპ.
1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი	359 მან. 93 კაპ.
10 ბელგიური ფრანკი	66 მან. 11 კაპ.
1 გერმანული მარკა	136 მან. 00 კაპ.
1 ჰოლანდიური გულდენი	120 მან. 60 კაპ.
1 დანიური კრონა	35 მან. 21 კაპ.
100 იტალიური ლირა	16 მან. 44 კაპ.
1 კანადური დოლარი	168 მან. 85 კაპ.
1 ნორვეგიული კრონა	33 მან. 69 კაპ.
1 ამერიკული დოლარი	205 მან. 50 კაპ.
1 ფინური მარკა	44 მან. 22 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	39 მან. 94 კაპ.
1 შვედური კრონა	32 მან. 44 კაპ.
1 შვეიცარული ფრანკი	156 მან. 04 კაპ.
10 იაპონური იენი	16 მან. 47 კაპ.
1 ეკიუ	270 მან. 68 კაპ.
10 ესპანური პესეტა	20 მან. 87 კაპ.
10 ბერძნული დრაჰმა	10 მან. 90 კაპ.
1 ირლანდიური გირვანქა	362 მან. 71 კაპ.
1 ისლანდიური კრონა	3 მან. 72 კაპ.
1 ქუვეითური დინარი	700 მან. 41 კაპ.
10 ლიბანური გირვანქა	0 მან. 90 კაპ.
10 პორტუგალიური ესკუდო	15 მან. 56 კაპ.
1 სინგაპურული დოლარი	128 მან. 49 კაპ.
10 თურქული ლირა	0 მან. 28 კაპ.
1 ამერიკული დოლარი ინდოეთთან 1992 წლის ანგარიშსწორების მიხედვით	205 მან. 50 კაპ.

ჩოგანი

კვლავ ფიშერის გამარჯვებით

როგორც მოსალოდნელი იყო, რობერტ ფიშერისა და ბორის სპასკის საუკუნის მატჩი თანდათანობით ცალ კარში თამაშს დაემსგავსა. მეათე პარტიაში ყაიმის შემდეგ ამერიკელმა ჯადოქარმა გამარჯვებით დაასრულა მომდევნო, მეთერთმეტე პარტია და თავისი უპირატესობა ანგარიშში კიდევ უფრო გაზარდა — 5:2.

უიღბლო დასაწყისი

მრავალი მიზეზის გამო ქართველ კალათბურთელებს ძალიან გაუჭირდათ ევროპის საკლუბო ტურნირების პირველ ეტაპზე მეტოქეთათვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა, რაც მატჩების ტექნიკურ მონაცემებშიც აისახა.

გთავაზობთ ჩვენი ქვეყნის გუნდების შეხვედრების შედეგებს. (როგორც მოგეხსენებათ, ყველა ორთაბრძოლა ქართველმა კალათბურთელებმა სტუმრად გამართეს).

ჩემპიონთა თასი: „პკს“ (ვროცლავი, პოლონეთი)-„დინამო“ (თბილისი) 124:85; 115:98.

კორაჩის თასი: „ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) — „მერანი“ (თბილისი) 108:78; 108:68. „სოლნოკი“ (უნგრეთი) — „შევარდენი“ (თბილისი) 118:65 (განმეორებითი მატჩის შედეგი ჯერჯერობით უცნობია).

გმადლობთ, დიეგო!

ცნობილი გახდა, რომ წარუმატებლად დამთავრდა იტალიის „ნაპოლისა“ და ესპანეთის „სევილიის“ წარმომადგენელთა მოლაპარაკება გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელის დიეგო მარადონას ანდალუზიის კლუბში გადასავლის შესახებ. სკანდალებით ცნობილმა ვარსკვლავმა ეს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ თავს ანებებს ფეხბურთს.

ამრიგად, ფეხბურთს კიდევ ერთი კორიფე გამოეთხოვა. შეგახსენებთ, რომ „არგენტინოს ხუნიორსის“, „ბოკა ხუნიორსის“, „ბარსელონისა“ და „ნაპოლის“, აგრეთვე არგენტინის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ხანგრძლივი თამაშის მანძილზე მარადონა გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი, არგენტინისა და იტალიის ჩემპიონი, მოიპოვა უეფა-ს, ესპანეთისა და იტალიის თასი, დაიმსახურა უამრავი ინდივიდუალური პრიზი და ფეხბურთის ისტორიაში სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი მარად კაშკაშა ვარსკვლავთა შორის.

კრიმინალური ქრონიკა

აბაშის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ემზარ ცომაია, რომელმაც მოკლა კარლო ლაბარტყავა. ცომაიას ბინიდან ამოღებულია გვარდიელის ფორმა, 2 ნიღაბი, გადაპრილი სანადირო თოფი, ხელყუმბარა, ავტომატი მჭიდითა და 28 ვაზნით. მეორე ბოროტმოქმედი — ნოდარ ლასარეიშვილი მიიმალა, ხოლო მისი ბინიდან ამოღებულია მცირეკალიბრიანი შაშხანა და 26 ვაზნა.

გურჯაანის, თელავის, ყვარლის პოლიციის თანამშრომლების მიერ გატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად დაკავებულია თეიმურაზ კუნჭოშვილი, რომელმაც მოკლა გურჯაანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომელი, პოლიციის ლეიტენანტი გიორგი კირვალიძე. დამნაშავის ბინიდან ამოღებულია კირვალიძის ტაბელური იარაღი და 64.000 მანეთი ფული.

პატარა გლდანის დასახლებაში მცხოვრები ბიჭიკო ვახტანგიშვილის ბინაში შეაღწია სამმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა, საიდანაც იარაღის მუქარით გაიტაცეს 17000 ფული, 300 ამერიკული დოლარი, ოქროს ნაკეთობანი და მსუბუქი ავტომანქანა.

თელავის საავადმყოფოში მიიტანეს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ზაურ ოშორიძის გვამი. „ცხელ კვალზე“ გატარებული ღონისძიების შედეგად პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს სეიფულა ლულელაური, რომელმაც ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლა ზ. ოშორიძე.

თბილისში პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს არასრულწლოვნები არტაშე მიკირტიჩიანი და კონსტანტინე კარგეზოვი, რომლებმაც ლილოში ლიანდაგებიდან ჩამოჭრეს შემაერთებელი საკონტაქტო სპილენძის ხაზები.

ნანა მაჭაშვილი

განმარტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 16 სექტემბრის ნომერში დაშვებულია დედნისეული შეცდომა. კერძოდ, მე-3 გვერდზე დაბეჭდილ მასალაში — „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა“ ქვესათაურის „ნაძალადევის რაიონი“-ს თავზე გამოტოვებულია ობიექტების დასახელების, უწყება-სამინისტროების, მომუშავეთა რაოდენობის, საბალანსო ღირებულების და პრივატიზების ინიციატორის აღმნიშვნელი გრაფები, ხოლო მეოთხე გვერდის დასაწყისში ასეთივე გრაფები საერთოდ არ უნდა იყოს.

გამოიწერეთ 1993 წლისთვის!

მაშინ, როდესაც ჩვენს გარშემო ყველაფერი ძვირდება და ფული უფასურდება, ხელმოწერა 1993 წლისთვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაზე“ იაფდება.

დიახ, იაფდება!

წლეულს ჩვენი გაზეთი 2 მანეთად იყიდება, გაისად ხელმომწერთათვის მანეთი და 80 კაპიკი ეღირება და 1993 წლის ბოლომდე, ინფლაციის ნებისმიერი ზრდის მიუხედავად, ამ ფასს შევინარჩუნებთ.

რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო გარანტიას გვაძლევს, რომ თითოეულ ხელმომწერს დაუგვიანებლად ჩაბარდება „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა ნომერი. ფოსტალიონების მომსახურებას თქვენ აფინანსებთ, პატივცემულო მკითხველებო, რადგან 80 კაპიკი, თქვენს მიერ გადახდილი მანეთის და 80 კაპიკისა, სწორედ საამისოდაა გამიზნული.

ერთადერთი ყოველდღიური ქართული გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

„საქართველოს რესპუბლიკაზე“ ხელმოწერა ნახევარი წლით მხოლოდ 234 მანეთი ეღირება, ერთი წლით — 468 მანეთი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გაიაფება მოწყალების გაღება არ გეგონოთ, თქვენთვის ხელის შეწყობაა მხოლოდ.

თქვენც, დარწმუნებული ვართ, ხელშეწყობითვე გვიპასუხებთ — გამოიწერთ „საქართველოს რესპუბლიკას“ 1993 წლისთვის!

„საქართველოს რესპუბლიკა“ ყველაზე იაფი პერიოდული გამოცემაა.

ხელმოწერა კიდევ უფრო იაფი დაუჯდებათ იმ მკითხველებს, რომლებსაც 1992 წლის ბოლომდე გამოწერილი ჰქონდათ ჩვენი გაზეთი და დამატებითი ხელმოწერის გამოცხადების შემდეგ გადაიხადეს 5 თვის 110 მანეთი ან 4 თვის 88 მანეთი.

ეს ფული გამოაკლდება საგაზეთო ხელმოწერის ღირებულებას. ამისთვის საკმარისი იქნება „სოიუზპეჩატის“ იმ განყოფილებაში, სადაც 1993 წლის ხელმოწერას გააფორმებთ, წარადგინოთ 1992 წლის წლიური ხელმოწერისა და დამატებითი ხელმოწერის ქვითრები.

ბევრი არ არის, მაგრამ მაინც შეღავათია თქვენი ოჯახის ბიუჯეტისთვის, მით უფრო, რომ საცალო ვაჭრობაში გაზეთი 3 მანეთად გაიყიდება.

ჩვენ მხოლოდ ერთმანეთით და ერთმანეთისთვის ვარსებობთ, ძვირფასო მკითხველებო!

ჩვენი ინდექსია 66434

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66434